



დანართი №5

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების - შპს ხერხემის მიერ
ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი

წევრ(ებ)ი:

1. გიორგი მოდებაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
2. ნინო ბერიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
3. ნიკა უთალიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
4. ინგა ჯაფარიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
5. სალომე არაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
6. ანა ობოლაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
7. თამარ ოძელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
8. თეონა აბრამიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
9. ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
10. ქეთევან ცირეკიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)



ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

- ☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება
- ☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა
- ☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება
- ☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება
- ☒ გეგმიური
- ☐ არაგეგმიური

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ		
ზოგადსაგანმანათლებლო	დაწესებულების	შპს ხერხეში
სახელწოდება		
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა		შეზრუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო	დაწესებულების	224089420
(გადასახადის გადამხდელის)		
საიდენტიფიკაციო კოდი		

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია



მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ახალციხე, დიდიმამიშვილის ქ. 3
ფაქტობრივი მისამართი	ახალციხე, დიდიმამიშვილის ქ. 3
საფოსტო ინდექსი	0800
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://xerxemi.edupage.org/contact.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	mzekaschool@yahoo.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	571900952 / 0365223649

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 16 ოქტომბრის MES 0 24 0001333658 ბრძანება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს ხერხემის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	23-24 ოქტომბერი, 2024 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (ივსება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოებაზე)
„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დამატებაც სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და შენობა-
--	---	---	---



			ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
--	--	--	--------------------------------------

V. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ახალციხე, დიდმამიშვილის ქ. 3
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ახალციხე, დიდმამიშვილის ქ. 3
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ახალციხე, დიდმამიშვილის ქ. 3



VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 16 ოქტომბრის MES 0 24 0001333658 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს: (თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი); წევრები - გიორგი მოდებაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი); ნინო ბერიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი); ნიკა უთალიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი); ინგა ჯაფარიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი); სალომე არაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი); ანა ობოლაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი); თამარ ოძელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი); თეონა აბრამიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი); ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი); ქეთევან ცირეკიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი) დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება შპს ხერხეშა (ს/კ: 225065327). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შპს ხერხეშა ავტორიზაციის პროცესი სამი სტანდარტის ფარგლებში 2023 წლის თებერვალში გაიარა და 21 მარტს მიენიჭა სტატუსი.

ბრძანების შესაბამისად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა მიერ შეფასების (მონიტორინგის) პროცესი განხორციელდა 2024 წლის, 23-24 ოქტომბერს ადგილზე ვიზიტით, ხოლო ჯგუფის სხვა წევრებმა პროცესი განახორციელეს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების გამოყენებით.

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, ორჯერ განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა განახორციელეს შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან და მასწავლებლებთან, დაათვალიერეს მატერიალური რესურსი და შეაფასეს დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობა. საგნის ექსპერტები დისტანციურად გაესაუბრნენ, კათედრის ხელმძღვანელებს და შესაბამის მასწავლებლებს. შეხვედრამ პოზიტიურ, კეთილგანწყობილ გარემოში ჩაიარა, ექსპერტებმა მასწავლებლებს მისცეს საქმიანი, კონსტრუქციული უკუკავშირი, ზოგიერთი საგნობრივი ექსპერტისგან მიიღეს რჩევა კურიკულუმის შემდგომი დახვეწის მიზნით. დაწყებითი საფეხურის ექსპერტი ჩართული იყო გასაუბრების პროცესში და საგნობრივ ექსპერტებთან ერთად მონაწილეობა მიიღო დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების რევიზიის პროცესში.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული დოკუმენტების და მტკიცებულებების წარმოდგენა. ვიზიტის დროს დაწესებულებაში ცხადად ჩანდა

თანამშრომლობითი კულტურა. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილ იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია შესასრულებელი სამუშაო ვადების გათვალისწინებით, შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა/ები, პასუხისმგებელი პირები, საჭირო ადამიანური რესურსი და ასევე პროცესების შეფერხების რისკი. სკოლამ წარმოადგინა ასევე დანართები და მტკიცებულებები ხარვეზის გამოსწორების შესახებ. გეგმის თანახმად შესრულების საბოლოო ვადად განსაზღვრულია 1 წელი (2025 წლის 5 დეკემბერი). ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შესაბამისობის გეგმა და მივიდა დასკვნამდე, რომ სკოლას აქვს მზაობა აღმოეხერხა მითითებული ხარვეზები. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული სტანდარტები საბოლოო დასკვნაში, შეფასებულია როგორც „მეტწილად შეესაბამება“, ხოლო წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის შედეგად რიგი ინდიკატორებისა შეფასდა როგორც „შეესაბამება“

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
175	121	175

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლამ სრულად გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისად რიგი ინდიკატორებისა საბოლოო დასკვნაში, შეფასებულია როგორც „მეტწილად შეესაბამება“, ხოლო წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის შედეგად რიგი ინდიკატორებისა შეფასდა როგორც „შეესაბამება“

I, III და IV სტანდარტების ინდიკატორები, რომლებიც სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, დასკვნის ფარგლებში შეფასდა როგორც “შესაბამება”

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სკოლის სახელწოდება - „შპს ხერხემი“ დასკვნის პროექტის ფარგლებში არ იყო შესაბამისობაში „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერმინთან (მუხლი 2, პ. „ე“- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა). შესაბამისად ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრიდან, რითაც დასტურდება, რომ ცვლილება შევიდა დასახელებაში და სკოლის სახელად განისაზღვრა „შპს ხერხემის კერძო სკოლა“. რითაც შესაბამისობაში მოვიდა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერმინთან. შესაბამისად ინდიკატორის შეფასდა, როგორც შესაბამისი.

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორი შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“. რამდენადაც სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტები არ წარმოადგენდა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიას, ისინი არ მოიცავდა სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავების საკითხებს, ასევე არ განსაზღვრავდა სასკოლო საზოგადოებისა და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა ახლად შემუშავებული - სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გათვალისწინებულია ექსპერტთა მიერ ასახული ხარვეზები. შესაბამისად ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილ სტრატეგიულ გეგმას არ ახლდა და არც ცალკე დოკუმენტად დაწესებულებას არ წარმოუდგენია სიტუაციური ანალიზი (თუმცა გეგმაში განსაზღვრული იყო, რომ სტრატეგიული დაგეგმვისას სკოლა იყენებს სტრატეგიული დაგეგმვის



ე.წ. SWOT-ანალიზის მეთოდს), მასში სტრატეგიული მიზნები არ იყო ჩაშლილი ამოცანებად, არ იყო განსაზღვრული მიზნის შესრულების ინდიკატორები და რისკები. ექსპერტთა მოსაზრებით წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა არ აკმაყოფილებდა ინდიკატორის მოთხოვნებს და შესაბამისად, დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, როგორც არ შეესაბამება. თუმცა, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი, რომელშიც ცვლილება შევიდა დირექტორის 2024 წლის, 27 ნოემბრის, N2.86 ბრძანებით და რომელშიც აისახა ექსპერტთა მიგნებები. შესაბამისად დოკუმენტს ახლავს, სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებული, სკოლის SWOT ანალიზი, რომლის საფუძველზეც, გამოვლინდა შპს ხერხემის წინაშე არსებული შესაძლებლობები და საფრთხეები (OT ნაწილი), სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები (SW ნაწილი), დაიტანა შესაბამის მატრიცაზე და რომელზე დაყრდნობითაც, სკოლამ განსაზღვრა გრძელვადიანი 7 სტრატეგიული მიზანი: წარმოდგენილი დოკუმენტი შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას; დასკვნის პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი, 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შეთანხმებული იყო შპს ხერხემის პედაგოგიურ საბჭოსთან. სამოქმედო გეგმის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ ის ფუძნებოდა, არსებულ სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, როგორც უკვე აღინიშნა, სკოლამ წარმოადგინა შეცვლილი სტრატეგიული გეგმა და ასევე 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა, **რომელშიც ცვლილება შევიდა 2024 წლის 27 ნოემბრის N2.86 ბრძანებით და დამტკიცდა სკოლის დირექტორის N2.88 ბრძანებით.** სამოქმედო გეგმის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ ის ფუძნება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში ძირითადი მიზნები ჩაშლილი იყო ამოცანებად (აქტივობები), განსაზღვრული იყო შესრულების ვადა თვეების მიხედვით, შემსრულებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, მაგრამ გეგმაში არ იყო წარმოდგენილი შესრულების ინდიკატორები, და შესაბამისი რესურსები. ასევე ამოცანები რიც შემთხვევაში არ არის იყო სწორად ფორმულირებული. მაგ ამოცანებად იყო ასეთი საკითხები: - სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დარაჯი; უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგისა და სამედიცინო დახმარების წესი. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები, დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, როგორც შეუსაბამო, თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად გადმოგზავნილი სამოქმედო გეგმაში, ეს ხარვეზები აღმოფხვრილია. მასში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები,

რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

ვიზიტის პერიოდში, სკოლამ წარმოადგინა სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც წარმოადგენდა მხოლოდ ზოგად ჩანაწერს მონიტორინგის მნიშვნელობის შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტით არ იყო განსაზღვრული მონიტორინგის პროცედურები, პასუხისმგებელი პირები, ვადები, შეფასების სახეები, არ იყო გაწერილი თუ როგორ ხდება დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაციის მოგროვება და გაანალიზება. ასევე არ იყო განსაზღვრული მონიტორინგზე უკუკავშირის ვადა და შეხვედრების ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირი. **შესაბამისად დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორი შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“.** არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა ახალი დოკუმენტი. ექსპერტთა მიერ აღნიშნული დოკუმენტის “სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია” გაცნობის შედეგად დაადგინა, რომ ის **მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

ვიზიტის პერიოდში ძირითად მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული იყო, როგორც შემცვლელ მასწავლებლებთან, რაც არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობას. შესაბამისად, დასკვნის პროექტის ფარგლებში, ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც არ შეესაბამება.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა ხელშეკრულების ნიმუშები, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლამ მასწავლებლებთან გააფორმა ახალი ხელშეკრულებები კვალიფიკაციის შესაბამისად. ზოგიერთ შემთხვევაში შემცვლელი მასწავლებლის ხელშეკრულება საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით შეიცვალა მოწვეულით, ხოლო ნაწილის დასაქმება მოხდა სტატუსის შესაბამისად ღია კონკურსის გზით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, **როგორც შესაბამისი.**

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;



სასკოლო საზოგადოების ინფორმირების შედეგად მიღებულ უკუკავშირზე რეაგირების მექანიზმები და მტკიცებულებები. შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა დეტალურად გაწეროს უკუკავშირზე რეაგირების პროცედურები. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით, დაგეგმა შესაბამისი აქტივობები. შესრულების ვადად განსაზღვრულია 2024 წლის 5 დეკემბრიდან 2025 წლის 5 დეკემბრამდე პერიოდი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

I, III და IV სტანდარტების ინდიკატორები, რომლებიც სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, დასკვნის ფარგლებში შეფასდა როგორც “მეტწილად შეესაბამება”

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

შპს ხერხემს არ წარმოუდგენია მონიტორინგის განხორციელების მტკიცებულებები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა პირველად გადის ავტორიზაციის პროცესს ახალი 4 სტანდარტით. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები, დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, **როგორც შეუსაბამო**. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლის მიერ წარმოდგენილი სტანდარტების შესაბამისობის გეგმის თანახმად, მონიტორინგის განხორციელება იგეგმება სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამის ვადებში, კერძოდ 05.12.2024 - 01.09.2025 პერიოდში. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

შპს ხერხემს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შესახებ ანგარიში არ წარმოუდგენია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ ბოლო ავტორიზაცია, სამი სტანდარტის ფარგლებში, 2023 წლის თებერვალში გაიარა. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები, დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, როგორც შეუსაბამო, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლის მიერ წარმოდგენილი სტანდარტების შესაბამისობის გეგმის თანახმად, 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს სკოლა მონიტორინგის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმების განხორციელების შესახებ ანგარიშს, ხოლო სტრატეგიული გეგმისას - შესაბამის ვადაში, კერძოდ 05.12.2024 - 05.12.2025 პერიოდში. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.



შპს ხერხემს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შესახებ ანგარიში და შესაბამისად შედეგების, სკოლის შემდგომი განვითარებისთვის, გამოყენების მტკიცებულება არ წარმოდგენია. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები, დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, როგორც შეუსაბამო. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლის მიერ წარმოდგენილი სტანდარტების შესაბამისობის გეგმის თანახმად, 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს სკოლა მონიტორინგის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმების განხორციელების შესახებ ანგარიშს, ხოლო სტრატეგიული გეგმისას - შესაბამის ვადაში, კერძოდ 05.12.2024 - 05.12.2025 პერიოდში. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“**.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;

10 თანამშრომელს წარმოდგენილი არ ჰქონდათ ცნობები იმასთან დაკავშირებით, რომ არ არიან ნასამართლევნი, არ იძებნებიან, არ აქვთ ჩადენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და არ აქვთ ჩამორთმეული უფლება. აღნიშნულიდან გამომდინარე დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორის მოთხოვნები არ იყო დაკმაყოფილებული და შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით, სკოლამ განსაზღვრა რომ არსებული ხარვეზი აღმოიფხვრება 2025 წლის 30 ივნისამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“**.

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

სკოლამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტი, რომელიც ასახავდა შეფასების ანგარიშებს და გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე პერსონალის განვითარების გეგმას. შესაბამისად დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორის მოთხოვნები არ იყო დაკმაყოფილებული და შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით, სკოლამ განსაზღვრა რომ გაითვალისწინებს ხარვეზს და შეფასებებსა და განვითარების გეგმებს აწარმოებს დოკუმენტურად პერსონალის მართვის პოლიტიკის შესაბამისად. შესრულების ვადად განსაზღვრულია 2024 წლის 5 დეკემბრიდან 2025 წლის 5 დეკემბრამდე პერიოდი. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“**.

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად



1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;

სკოლამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, კერძოდ, ანგარიშები, ჩატარებული მონიტორინგის შედეგები, გაცემული რეკომენდაციები რაც დაადასტურებდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად განხორციელებულ ქმედებებს, წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორის მოთხოვნები არ იყო დაკმაყოფილებული და შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით, სკოლამ განსაზღვრა რომ გაითვალისწინებს ხარვეზს და შემდგომში ყველა ტიპის მონიტორინგსა და ანგარიშგებას განახორციელებს წერილობითი ფორმით. შესრულების ვადად განსაზღვრულია 2024 წლის 5 დეკემბრიდან 2025 წლის 5 დეკემბრამდე პერიოდი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართუა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

სკოლას დებულებით განსაზღვრული აქვს შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სპეციალისტის მოვალეობები, თუმცა სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს შესაბამისი კადრი. შესაბამისად დასკვნის პროექტის ფარგლებში, ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ განმარტა, რომ გამოცხადებული აქვს ვაკანსია ამ პოზიციაზე, ხოლო წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით, არსებული ხარვეზის გამოსწორება დაგეგმა 2025 წლის 30 აგვისტომდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

სკოლამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, თუმცა მათთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ისინი ყოველდღიურ რეჟიმში ზრუნავენ ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებაზე. შესაბამისად დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისი“.



არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ განმარტა, რომ მაქსიმალურად გაითვალისწინებს და განახორციელებს პერიოდულ შეფასებას დოკუმენტური ფორმით, ხოლო წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით, არსებული ხარვეზის გამოსწორება დაგეგმა 2025 წლის 5 დეკემბრამდე აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის. მართალია სკოლის კიბეებზე დამაგრებულია ხის პანდუსები, თუმცა დახრის კუთხის გათვალისწინებით, მათზე ეტლით გადაადგილება შეუძლებელია. პირველ სართულზე არის სველი წერტილი, რომელიც არ არის სწორად ადაპტირებული, რამდენადაც მასში ეტლის მოტრიალება ასევე შეუძლებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისი“. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით, არსებული ხარვეზის გამოსწორების ვადად სკოლამ განსაზღვრა პერიოდი 2024 წლის 5 დეკემბრიდან, 2025 წლის 15 სექტემბრამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

რამდენადაც სკოლა 175 მოსწავლეზეა გათვლილი არსებული კომპიუტერული რესურსი ვერ უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. შესაბამისად დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისი“. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით, არსებული ხარვეზის გამოსწორების ვადად სკოლამ განსაზღვრა პერიოდი 2024 წლის 5 დეკემბრიდან, 2025 წლის 5 დეკემბრამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის

სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ვებგვერდზე არ არის ატვირთული შპს ხერხემის სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, მათ შორის არც ინფორმაცია დამატებით მომსახურების შესახებ. ასევე არ არის ატვირთული ანგარიში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების შესახებ და არც საკონტაქტო ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის პროექტის ფარგლებში, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისი“. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით, არსებული ხარვეზის გამოსწორების ვადად სკოლამ განსაზღვრა პერიოდი 2024 წლის 25 ოქტომბრიდან, 2025 წლის 30 მარტამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

ვიზიტის პერიოდში სკოლის სერვისების შესახებ მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია იყო ასახული მშობელთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში. ვერ დგინდებოდა, თუ როგორ უზრუნველყოფს დაწესებულება მის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციის საჯაროობის ხელმისაწვდომობას. შესაბამისად დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისი“. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით და თანდართული დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლამ შეიმუშავა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები, ასევე მშობელთან გასაფორმებელი ახალი ხელშეკრულების ფორმა, რომელიც გაფორმდება ყველა ახალ მოსწავლესთან ან არსებულ მოსწავლეებთან ახალი სასწავლო წლიდან. არსებული ხარვეზის გამოსწორების ვადად მითითებულია 2024 წლის 03 მარტი, რაც სავარაუდოდ ტექნიკური ხარვეზია, რადგან პროცესის დაწყების თარიღად მითითებულია 2024 წლის 05 დეკემბერი. აღწერილიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ დასრულების თარიღია 2025 წლის 03 მარტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.



4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა უკუკავშირისა და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გაუმჯობესების აქტივობის დაგეგმვის/განხორციელების აქტივობები. შესაბამისად დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისი“. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით დგინდება, რომ სკოლა გეგმავს ინტერვენციების განხორციელებას 2024 წლის 5 დეკემბრიდან, 2025 წლის 05 დეკემბრის ვადაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები. შესაბამისად დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისი“. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით დგინდება, რომ სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს, გაანალიზებს მათ და შესაბამისად დაგეგმავს შემდგომ მუშაობას. შესრულების ვადად მითითებულია 2024 წლის 5 დეკემბრიდან, 2025 წლის 05 დეკემბრის პერიოდი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

II სტანდარტის ინდიკატორები, რომლებიც სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, დასკვნის ფარგლებში შეფასდა როგორც “შეესაბამება”.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი:

დასკვნის პროექტის ფარგლებში, ინდიკატორი N 2.2.2.4 –“სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი;” - შეფასებული იყო “არ შეესაბამება”. შესაბამისობის გეგმის მიხედვით - 2025 წლის 05 დეკემბრამდე - სპორტის საგნობრივ ჯგუფში სკოლამ დაასაქმა კანონმდებლობის შესაბამისი კადრი. გამომდინარე აღნიშნულიდან ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საბაზო საფეხურის კურიკულუმი:

დასკვნის პროექტის ფარგლებში, ინდიკატორი N 2.2.2.4 - “სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი;” - შეფასებული იყო “არ შეესაბამება”. შესაბამისობის გეგმის მიხედვით - 2025 წლის 05 დეკემბრამდე - სპორტის საგნობრივ ჯგუფში სკოლამ დაასაქმა კანონმდებლობის შესაბამისი კადრი. გამომდინარე აღნიშნულიდან ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საბაზო საფეხურის კურიკულუმი:

დასკვნის პროექტის ფარგლებში, ინდიკატორი N 2.2.2.4 - “სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი;” - შეფასებული იყო “არ შეესაბამება”. შესაბამისობის გეგმის მიხედვით - 2025 წლის 05 დეკემბრამდე - სკოლამ სპორტისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფებში დაასაქმა კანონმდებლობის შესაბამისი კადრები. გამომდინარე აღნიშნულიდან ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

II სტანდარტის ინდიკატორები, რომლებიც სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, დასკვნის ფარგლებში შეფასდა როგორც “მეტწილად შეესაბამება”.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი:

დასკვნის პროექტის ფარგლებში, ინდიკატორი N 4.1.2.3 - “სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;” - შეფასებული იყო “არ შეესაბამება”. შესაბამისობის გეგმის მიხედვით - 2025 წლის 30 მარტამდე - სკოლა უზრუნველყოფს სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობას. გამომდინარე აღნიშნულიდან ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

დასკვნის პროექტის ფარგლებში, ინდიკატორი N4.2.1.6 - “მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმაღლებს მოსწავლეთა მომსახურებას.” - შეფასებული იყო “არ შეესაბამება”. შესაბამისობის გეგმის მიხედვით - 2025 წლის 05 დეკემბრამდე - სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე მომსახურების გაუმჯობესებას. გამომდინარე აღნიშნულიდან ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

1. დასკვნის პროექტის ფარგლებში, ინდიკატორი N 4.2.2.3 “სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.” შესაბამისობის გეგმის მიხედვით - 2025 წლის 05 დეკემბრამდე - სკოლა



უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში გაწეული მომსახურების შეფასების შედეგების გათვალისწინებას. გამომდინარე აღნიშნულიდან **ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.**

დასკვნის პროექტის ფარგლებში, ინდიკატორი N 2.1.2.5 - “მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს” **შეფასებული იყო “არ შეესაბამება”.** შესაბამისობის გეგმის მიხედვით - 2025 წლის 15 სექტემბრამდე - სკოლა დაწყებით საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფის ფარგლებში უზრუნველყოფს სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემის ვალიდურობასა და უპასუხებს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის საგნებში მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს მიხედვით შექმნის შეფასების რუბრიკებს, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებზე იქნება დაფუძნებული. გამომდინარე აღნიშნულიდან **ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.**

დასკვნის პროექტის ფარგლებში, ინდიკატორი N 2.2.1.3 - “შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი” **შეფასებული იყო “არ შეესაბამება”.** შესაბამისობის გეგმის მიხედვით - 2025 წლის 15 სექტემბრამდე - სკოლა დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის საგნებში მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველოს მიხედვით შექმნის შეფასების რუბრიკებს რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმის/საგნობრივი სტანდარტის პრინციპებზე იქნება დამყარებული, რომ იყოს ვალიდური, შექმნის შეფასების რუბრიკებს, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმის/საგნობრივი სტანდარტის პრინციპებზე იქნება დამყარებული. **მათემატიკის საგნობრივი ჯგუფში** დაწყებით საფეხურზე, უზრუნველყოფს ყველა კლასისთვის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შემუშავებას და მე-5 და მე-6 კლასებისთვის. გამომდინარე აღნიშნულიდან **ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.**

დასკვნის პროექტის ფარგლებში, ინდიკატორი N 2.1.2.1 - “შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას” **შეფასებული იყო “არ შეესაბამება”.** შესაბამისობის გეგმის მიხედვით - 2025 წლის 15 სექტემბრამდე - სკოლა დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფის საგნებში მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველოს მიხედვით უზრუნველყოფს ისეთი საგნობრივი კურიკულუმების შექმნას, სადაც გამოკვეთილი იქნება გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები და რომლებიც უპასუხებს ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს. გამომდინარე აღნიშნულიდან **ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.** კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ ჯგუფში კი სკოლა შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადაში უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებას ყველა კლასისათვის, რომლებშიც შესული იქნება ყველა აუცილებელი კონმპონენტი. გამომდინარე აღნიშნულიდან **ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.**

დასკვნის პროექტის ფარგლებში, ინდიკატორი N 2.1.2.2 - “კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს” **შეფასებული იყო “არ შეესაბამება”.** შესაბამისობის გეგმის მიხედვით - 2025 წლის 15 სექტემბრამდე - სკოლა დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფის საგნებში მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველოს მიხედვით უზრუნველყოფს



შექმნას საგნობრივი კურიკულუმები მოსწავლეების მზაობისა და ინტერესების გათვალისწინებით, ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომების შესაბამისი კურიკულუმების შემუშავებას, რომლებშიც გაწერილი იქნება მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები. გამომდინარე აღნიშნულიდან ინდიკატორი შეფასდა, **როგორც მეტწილად შესაბამისი**.

დასკვნის პროექტის ფარგლებში, ინდიკატორი N 2.1.2.4 - “სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს” **შეფასებული იყო “არ შეესაბამება”**. შესაბამისობის გეგმის მიხედვით - 2025 წლის 15 სექტემბრამდე - სკოლა დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფის საგნებში მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველოს მიხედვით უზრუნველყოფს ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომების შესაბამისი კურიკულუმების შემუშავებას. **კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ ჯგუფში** ყველა კლასისთვის ისეთი კურიკულუმის შედგენას/გასწორებას, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება ყველა აუცილებელი კომპონენტი. აისახება დიფერენცირებული მიდგომა, შემუშავდება და გამოყენებულ იქნება შეფასების რუბრიკები თემების შესაბამისად. გამომდინარე აღნიშნულიდან ინდიკატორი შეფასდა, **როგორც მეტწილად შესაბამისი**.

დასკვნის პროექტის ფარგლებში, ინდიკატორი 2.2.1.1 - “სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად” **შეფასებული იყო “არ შეესაბამება”**. შესაბამისობის გეგმის მიხედვით - 2025 წლის 15 სექტემბრამდე - სკოლა დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფის საგნებში მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველოს მიხედვით უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების შესაბამისი სასწავლო პროცესისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვას. გამომდინარე აღნიშნულიდან ინდიკატორი შეფასდა, **როგორც მეტწილად შესაბამისი**.

დასკვნის პროექტის ფარგლებში, ინდიკატორი 2.1.2.3 - “კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას” **შეფასებული იყო “არ შეესაბამება”**. შესაბამისობის გეგმის მიხედვით - 2025 წლის 15 სექტემბრამდე - სკოლა დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფის საგნებში მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველოს მიხედვით უზრუნველყოფს საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო რესურსების მკაფიოდ ასახვას, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. გამომდინარე აღნიშნულიდან ინდიკატორი შეფასდა, **როგორც მეტწილად შესაბამისი**.

საბაზო საფეხურის კურიკულუმი:

დასკვნის პროექტის ფარგლებში, ინდიკატორი 2.2.1.3 - “შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი” **შეფასებული იყო “არ შეესაბამება”**. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლა საბაზო საფეხურზე მათემატიკის საგნობრივ ჯგუფში უზრუნველყოფს მათემატიკაში, განმავითრებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შემუშავებას. ესთეტიკური



აღზრდის ჯგუფის საგნებში შემუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი შეფასების რუბრიკები და უზრუნველყოფილი იქნება შეფასების სისტემის ვალიდურობა. გამომდინარე აღნიშნულიდან ინდიკატორი შეფასდა, **როგორც მეტწილად შესაბამისი**.

საშუალო საფეხურის კურიკულუმი:

დასკვნის პროექტის ფარგლებში, ინდიკატორი 2.2.1.3 - “შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი” შეფასებული იყო **“არ შეესაბამება”**. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლაში საშუალო საფეხურზე შეფასების სისტემა იქნება ვალიდური, შეფასების რუბრიკები მუსიკისა და ხელოვნების საგნებში, უპასუხებენ ესგ-ის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს. აღნიშნულიდან ინდიკატორი შეფასდა, **როგორც მეტწილად შესაბამისი**.

დასკვნის პროექტის ფარგლებში, ინდიკატორი N 2.1.2.1 - “შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას” შეფასებული იყო **“არ შეესაბამება”**. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლა ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფში უზრუნველყოფს მუსიკისა და ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმების შესაბამისობას ესგ-ის საგნობრივ სტანდარტებთან. გამომდინარე აღნიშნულიდან ინდიკატორი შეფასდა, **როგორც მეტწილად შესაბამისი**.

დასკვნის პროექტის ფარგლებში, ინდიკატორი N 2.1.2.2 - “კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს” შეფასებული იყო **“არ შეესაბამება”**. შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლაში ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ ჯგუფში მუსიკისა და ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმები მორგებული იქნება ესგ-ის საგნობრივ სტანდარტებს. გამომდინარე აღნიშნულიდან ინდიკატორი შეფასდა, **როგორც მეტწილად შესაბამისი**.

დასკვნის პროექტის ფარგლებში, ინდიკატორი N 2.1.2.5 - “მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს” შეფასებული იყო **“არ შეესაბამება”**. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ესთეტიკური აღზრდის საგნებში განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გაწერილი იქნება საგნობრივი სტანდარტის საშუალო საფეხურის შეფასების მოთხოვნები მუსიკის, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. უზრუნველყოფილი იქნება ესგ-ის მოთხოვნები და პრინციპები. მოსწავლის შეფასების სისტემა ესგ-ის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისი იქნება. გამომდინარე აღნიშნულიდან ინდიკატორი შეფასდა, **როგორც მეტწილად შესაბამისი**.



X. ინფორმაცია კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო რესურსის შესახებ (ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

გთხოვთ, ასახოთ ინფორმაცია შეცვლილ ფართზე კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსის შესახებ



ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება



	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☐ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 175	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

სტანდარტი NI	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N....		



სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	ხარვეზი
ინდიკატორი		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 1.2.2.2	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;	უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით სტანდარტების შესაბამისობის გეგმის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამის ვადებში, კერძოდ 05.12.2024 - 01.09.2025 პერიოდში.
ინდიკატორი N 1.2.2.3	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;	მონიტორინგის საფუძველზე შეიმუშავოს და გაასაჯაროვოს სამოქმედო გეგმების განხორციელების შესახებ ანგარიში, სტანდარტების შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების შესაბამისად კერძოდ 05.12.2024 - 05.12.2025 პერიოდში.
ინდიკატორი N 1.2.2.4	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.	სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმის თანახმად, კერძოდ 05.12.2024 - 05.12.2025 პერიოდში, ჩაატაროს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი, რომლის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმების განხორციელების შესახებ ანგარიშს, რაც გამოყენებული იქნება სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია



ინდიკატორი N 3.1.2.3.	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;	სკოლამ უზრუნველყოს თანამშრომელთა ცნობების წარმოდგენა იმასთან დაკავშირებით, რომ არ აქვთ ჩადენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და არ აქვთ ჩამორთმეული უფლება, სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2024 წლის 25 ოქტომბრიდან, 2025 წლის 30 ივნისამდე.
ინდიკატორი N 3.2.1.2.	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;	უზრუნველყოს პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მიზნით, მათი შეფასება და განვითარებისთვის აუცილებელი აქტივობების დაგეგმვა სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2024 წლის 5 დეკემბრიდან, 2025 წლის 5 დეკემბრამდე.
ინდიკატორი N 3.3.1.1	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;	განახორციელოს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის და სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რასაც გაანალიზების შემდგომ ასახავს ანგარიშებში, სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2024 წლის 5 დეკემბრიდან, 2025 წლის 5 დეკემბრამდე.
ინდიკატორი N 3.3.2.1	სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;	შეიმუშავოს სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების, მასზე რეაგირების მექანიზმები და გახორციელოს სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2024 წლის 5 დეკემბრიდან, 2025 წლის 5 დეკემბრამდე.
ინდიკატორი N 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან	უზრუნველყოს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება, უფლებამოსილი ორგანოს მიერ, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სპეციალისტის, ან შესაბამისი კადრის აყვანა, სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2024 წლის 30 აგვისტოდან, 2025 წლის 30 აგვისტომდე.



	შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
ინდიკატორი N 3.4.1.8	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.	განახორციელოს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასება, ასახოს დოკუმენტალურად და შეფასების შედეგები გამოიყენოს შემდგომი განვითარებისათვის, სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით, განსაზღვრულ ვადაში 2024 წლის 5 დეკემბრიდან, 2025 წლის 5 დეკემბრამდე
ინდიკატორი N 3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა კმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	უზრუნველყოს ინკლუზიური გარემოს შექმნა, სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით, განსაზღვრულ ვადაში 2024 წლის 5 დეკემბრიდან, 2025 წლის 5 დეკემბრამდე
ინდიკატორი N 3.6.1.1	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს	სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვის მიზნით, უზრუნველყოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მოწყობა,



	ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;	შესაბამისი რესურსით, სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით, განსაზღვრულ ვადაში 2024 წლის 5 დეკემბრიდან, 2025 წლის 5 დეკემბრამდე
ინდიკატორი N 3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	უზრუნველყოს ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება, ინდიკატორის მოთხოვნების გათვალისწინებით სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით, განსაზღვრულ ვადაში 2024 წლის 25 ოქტომბრიდან, 2025 წლის 30 მარტამდე.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 4.1.2.3	სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის	მნიშვნელოვანია, სკოლამ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ თარიღამდე - 2025 წლის 30 მარტამდე - უზრუნველყოს სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობა.



	შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;	
ინდიკატორი N 4.2.1.6	მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას	მნიშვნელოვანია, სკოლამ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ თარიღამდე - 2025 წლის 05 დეკემბრამდე - უზრუნველყოს მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესება.
ინდიკატორი N 4.2.2.3	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.	მნიშვნელოვანია, სკოლამ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ თარიღამდე - 2025 წლის 05 დეკემბრამდე - უზრუნველყოს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში გაწეული მომსახურების შეფასების შედეგების გათვალისწინება.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფი: მნიშვნელოვანია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ თარიღამდე სკოლამ უზრუნველყოს მოქმედი შეფასების სისტემის ვალიდურობა. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი: სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება მითითებულ ვადაში (05.12.2024-15.09.2025) და მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს მიხედვით შექმნას შეფასების რუბრიკები, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებზე იქნება დაფუძნებული.
ინდიკატორი N 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი: სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება მითითებულ ვადაში (05.12.2024-15.09.2025) და მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს მიხედვით



		შექმნას შეფასების რუბრიკები, რომელიც ვალიდურობის უზრუნველსაყოფად ეროვნული სასწავლო გეგმის/საგნობრივი სტანდარტის პრინციპებზე იქნება დამყარებული. სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება მითითებულ ვადაში (05.12.2024-15.09.2025) და მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს მიხედვით შექმნას შეფასების რუბრიკები რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის/საგნობრივი სტანდარტის პრინციპებზე იქნება დამყარებული. მათემატიკის საგნობრივი ჯგუფი: სკოლამ უზრუნველყოს მათემატიკაში, დაწყებით საფეხურზე, ყველა კლასისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკების და მე-5 და მე-6 კლასებისთვის, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შემუშავება. ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფი: მნიშვნელოვანია სკოლამ უზრუნველყოს შეფასების სისტემის ვალიდურობა.
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი: სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება მითითებულ ვადაში (05.12.2024-15.09.2025) და მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს მიხედვით შექმნას საგნობრივი კურიკულუმები რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების უპასუხებს. სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება მითითებულ ვადაში (05.12.2024-15.09.2025) და მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს მიხედვით შექმნას საგნობრივი კურიკულუმები, სადაც გამოკვეთილი იქნება გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების უპასუხებს.



		კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფი: მნიშვნელოვანია, სკოლამ შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადაში უზრუნველყოს საგნობრივი კურიკულუმის შემუშავება ყველა კლასისათვის ყველა კონმპონენტის გათვალისწინებით.
ინდიკატორი N 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი: სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება მითითებულ ვადაში (05.12.2024-15.09.2025) და მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს მიხედვით შექმნას საგნობრივი კურიკულუმები, სადაც გამოკვეთილი იქნება გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების უპასუხებს. სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება მითითებულ ვადაში (05.12.2024-15.09.2025) და მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს მიხედვით შექმნას საგნობრივი კურიკულუმები რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების უპასუხებს. სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება მითითებულ ვადაში (05.12.2024-15.09.2025) და მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს მიხედვით შექმნას საგნობრივი კურიკულუმები რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს.
ინდიკატორი N 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი: სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება მითითებულ ვადაში (05.12.2024-15.09.2025) და მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს მიხედვით შექმნას, დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებზე დამყარებული, საგნობრივი კურიკულუმები მოსწავლეების მზაობისა და ინტერესების გათვალისწინებით.



		კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ ჯგუფი: სკოლამ უზრუნველყოს ყველა კლასის კურიკულუმის შედგენა- გასწორება და ყველა აუცილებელ კომპონენტის გათვალისწინებით, მათი შესაბამისობაში მოყვანა, დიფერენცირებული მიდგომების ასახვა, შეფასების რუბრიკების თემების შესაბამისად შედგენა- გამოყენება..
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი: სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება მითითებულ ვადაში (05.12.2024-15.09.2025) და მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს მიხედვით შექმნას საგნობრივი კურიკულუმები რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების მიხედვით სასწავლო პროცესის დაგეგმვას მოახდენს.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებულ რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლ რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას;	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი: სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება მითითებულ ვადაში (05.12.2024-15.09.2025) და მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს საგნობრივ კურიკულუმებში მკაფიოდ ასახოს სასწავლო რესურსები, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფი: მნიშვნელოვანია, სკოლამ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს მოქმედი შეფასების სისტემის ვალიდურობა.
ინდიკატორი N 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	მათემატიკის საგნობრივი ჯგუფი: უზრუნველყოს მათემატიკაში, განმავითრებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებზე, შესაბამისობის გეგმის მიხედვით მუშაობის გაგრძელება.



		ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფი: მნიშვნელოვანია სკოლამ უზრუნველყოს, შეფასების სისტემის ვალიდურობისათვის შეფასების რუბრიკების მუსიკისა და ხელოვნების საგნებში კორექცია ესგ-ის საგნობრივი სტანდარტზე დაყრდნობით.
--	--	--

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფი: უზრუნველყოს, შესაბამისობის გეგმის შესაბამისად, მუსიკის და ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმები მორგება ესგ-ის საგნობრივ სტანდარტებს.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფი: უზრუნველყოს, შესაბამისობის გეგმის შესაბამისად, მუსიკის და ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმების მორგება ესგ-ის საგნობრივ სტანდარტებს.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფი: უზრუნველყოს, შესაბამისობის გეგმის შესაბამისად, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გაწერილი საგნობრივი სტანდარტის საშუალო საფეხურის შეფასების მოთხოვნების ასახვა მუსიკის, სახვით და გამოყენებით ხელოვნების კურიკულუმებში და ასევე მოსწავლის შეფასების სისტემის შესაბამისობაში მოყვანა ესგ-სთან.
ინდიკატორი N 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფი: უზრუნველყოს, შეფასების სისტემის ვალიდურობისთვის, მუსიკისა და ხელოვნების საგნებში, შეფასების რუბრიკების კორექცია ესგ-ის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით.



V. რჩევა

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N 1.1.1.1	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;	სკოლას მიეცა რჩევა - რამდენადაც ხედვა წარმოადგენს შუა რგოლს მისიასა და სტრატეგიულ გეგმას შორის, შესაბამისად, ის უნდა წარმოადგენდეს სტრატეგიული გეგმის შემუშავების ძირითად ორიენტირს, ის არის მოკლე განაცხადი, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის განვითარების საშუალოვადიან ან გრძელვადიან მიზნებს. ხედვაში ასახული უნდა იყოს სკოლის მისწრაფებები ანუ როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N 3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	სკოლას მიეცა რჩევა - მკაფიოდ განსაზღვროს სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
ინდიკატორი N 3.2.1.1.	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;	• სკოლას მიეცა რჩევა - შეიმუშავოს და მასწავლებელთა თუ საგაკვეთილო პროცესის შეფასება განხორციელოს მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით. • დოკუმენტურად აღრიცხოს ყველა ჩატარებული ღონისძიება, რომელიც მიმართული იქნება შპს ხერხემლის ადამიანური რესურსის საჭიროებების დადგენისა და მართვის პროცესში.
ინდიკატორი N.3.3.1.1	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ	• სკოლას მიეცა რჩევა - ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში ასახოს, თუ სკოლის საქმიანობის რომელი ასპექტი რა პერიოდულობით, რა თანმიმდევრობით, რომელი ინსტრუმენტებით და ვის მიერ უნდა განხორციელდეს.



	მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;	
ინდიკატორი N.3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;	ექთანს მიეცა რჩევა იხელმძღვანელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ფორმებით (№41/ნ/01-23/ნ2022 წლის 21 მარტი).
ინდიკატორი N.3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლას მიეცა რჩევა: შეიმუშავოს ლაბორატორიების მუშაობის და კლასების შეცვლის განრიგი, რაც ხელს შეუწყობს, გაკვეთილების უპრობლემოდ ჩატარებას.
ინდიკატორი N.3.5.1.2.	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;	რჩევა - სკოლის მატერიალური რესურსის დასაცავად და მისი ეფექტურად გამოყენების მიზნით, შეიმუშავოს შესაბამისი წესი.
ინდიკატორი N.3.5.1.3.	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;	ბიბლიოთეკარმა თვალსაჩინო ადგილზე გამოაკრას ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი



სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი 4.1.1.1	სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა.	რჩევა: სასურველია, ან „შპს ხერხემის მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა უფლებების დაცვის და გარანტიების უზრუნველყოფის მექანიზმში“, ან შპს ხერხემის შინაგანაწესში, ან შპს ხერხემის დებულებაში დაკონკრეტდეს/აიღწეროს და ცალკე მუხლად გამოიყოს მოსწავლეთა უფლებები.
ინდიკატორი 4.1.1.3	მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.	რჩევა: სასურველია, სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაიწეროს ისეთი შინაარსები, როგორებიცაა: სკოლის საქმიანობა; სკოლის, მოსწავლის მშობლის/კანონიერ წარმომადგენლისა და მოსწავლის უფლებები; სასწავლო დრო, დასვენების დრო და უქმე დღეები; მოსწავლეთა ადაპტაციის პრინციპები; საგანმანათლებლო მომსახურების ღირებულება; მოსწავლის სკოლიდან გადაყვანის წესი და გაფრთხილების წესი.
ინდიკატორი 4.2.1.3	მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;	რჩევა: სასურველია, სასკოლო სასწავლო გეგმაში ან სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობ სხვა დოკუმენტში/დოკუმენტებში დაკონკრეტდეს მოსწავლისათვის კონსულტაციისა და მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობის დრო, პერიოდი და ფორმები.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფს: წარმოდგენილ დოკუმენტაციაში I- VI კლასების მუსიკის საგნობრივი კურიკულუმები ნაწილობრივ შეესაბამება ველები მოითხოვს დაკორექტირებას. კონკრეტულად: თვეების ველი ამოსაღება, საკითხი/საკითხთა კლასტერის ველი უნდა გაიმეოროს ცნებისა და ქვეცნების ველს. უნდა დაემატოს , კონტექსტ მაგალითის, მაგალითები შედარებისათვის და სასწავლო რესურსების ველი. 2024-2025 სასწავლო წელსვე დაკორექტირდეს საგნობრივ კურიკულუმებში რჩევები, რათა



		მკაფიოდ იკითხებოდეს რომელი გრძელვადიანი მიზნები მუშავდება ,რა რესურსებით და კონტექსტს მაგალითების გამოყენებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი ჯგუფი: IV, V, VI კლასის კურიკულუმში განსაზღვრული თემები ემთხვეოდეს სტანდარტით განსაზღვრულს. IV, V, VI კურიკულუმით განსაზღვრულ თემებში განისაზღვროს ყველა სამიზნე ცნებაზე მუშაობა. სასურველია მეოთხე, მეხუთე, მეექვსე კლასის კურიკულუმში თემების განსაზღვრისას მასწავლებლებმა იხელმძღვანელონ ბუნებისმეტყველების სტანდარტით, რომელიც მოქმედებს ქართულენოვანი სკოლების III და IV კლასებისთვის - 2024 წლის 15 სექტემბრიდან და V და VI კლასებისთვის - 2025 წლის 15 სექტემბრიდან, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი: სასურველია ყველა კლასში კურიკულუმს ერთვოდეს იმ კომპლექსური დავალების პირობები, რომელზე მუშაობაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესში, განისაზღვროს მეტი შუალედური მიზანი. IV და VI კლასის კურიკულუმში განისაზღვროს შუალედური მიზანი; სახელმწიფო ენის საგნობრივი ჯგუფი: დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის დანართში ჩაიწეროს კონკრეტული კომპლექსური ბუნების დავალებისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა დავალების პირობაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმების/ მოთხოვნების გათვალისწინებით.
ინდიკატორი 2.1.2.2.	კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფი: ყველა კლასის საგნობრივ კურიკულუმის მორგება უნდა მოხდეს საგნობრივ სტანდარტთან, მიმართულებისა, სამიზნე ცნებების და საკითხის გათვალისწინებით (ვიზიტის დროს, მოხდა მხოლოდ 2 კლასის კურიკულუმის გასწორება სტანდარტის შესაბამისად). არ მომხდარა კურიკულუმის რევიზია, მონიტორინგი და შეფასება . კურიკულუმის ანგარიშის ფორმის შემუშავება და მისი განხორციელება აუცილებელია ,თანაც სკოლას აქვს კურიკულუმის განვითარების



		მეთოდოლოგიაში ეს პუნქტი და აუცილებელია მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტიკა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად. ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფი: წარმოდგენილ დოკუმენტაციაში I- VI კლასების მუსიკის საგნობრივი კურიკულუმები ნაწილობრივ შეესაბამება. ველები მოითხოვს დაკორექტირებას. კონკრეტულად: თვეების ველი ამოსაღებია, საკითხი/საკითხთა კლასტერის ველი უნდა გაიმეოროს ცნებისა და ქვეცნების ველს. უნდა დაემატოს , კონტექსტ მაგალითის, მაგალითები შედარებისათვის და სასწავლო რესურსების ველი. 2024-2025 სასწავლო წელსვე დაკორექტირდეს საგნობრივ კურიკულუმებში რჩევები, რათა მკაფიოდ იკითხებოდეს რომელი გრძელვადიანი მიზნები მუშავდება ,რა რესურსებით და კონტექსტ მაგალითების გამოყენებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი ჯგუფი: IV, V, VI კლასის კურიკულუმში განსაზღვრული თემები ემთხვეოდეს სტანდარტით განსაზღვრულს. IV, V, VI კურიკულუმით განსაზღვრულ თემებში განისაზღვროს ყველა სამიზნე ცნებაზე მუშაობა. სასურველია მეოთხე, მეხუთე, მეექვსე კლასის კურიკულუმში თემების განსაზღვრისას მასწავლებლებმა იხელმძღვანელონ ბუნებისმეტყველების სტანდარტით, რომელიც მოქმედებს ქართულენოვანი სკოლების III და IV კლასებისთვის - 2024 წლის 15 სექტემბრიდან და V და VI კლასებისთვის - 2025 წლის 15 სექტემბრიდან, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი: სასურველია ყველა კლასში კურიკულუმს ერთვოდეს იმ კომპლექსური დავალების პირობები, რომელზე მუშაობაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესში, განისაზღვროს მეტი შუალედური მიზანი. IV და VI კლასის კურიკულუმში განისაზღვროს შუალედური მიზანი; სახელმწიფო ენის საგნობრივი ჯგუფი:
--	--	--



		ყველა კლასის კურიკულუმის სათაურის ველში გაიწეროს განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა. სპორტის საგნობრივი ჯგუფი: V და VI კლასში ფიზიკური აღზრდა ტარდება კვირაში ერთი საათი. სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია V და VI კლასში ფიზიკური აღზრდა ჩატარდეს კვირაში 2 საათი.
ინდიკატორი N 2.2.2.1;	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფი: კურიკულუმში მითითებული რესურსი მწირია, სასურველია მათი გამრავალფეროვნება.
ინდიკატორი N 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	სახელმწიფო ენის საგნობრივი ჯგუფი: ყველა კლასის კურიკულუმის სასწავლო რესურსების გრაფაში სახელმძღვანელოსთან ერთად ცალკეულ შემთხვევებში გაიწეროს ელექტრონული რესურსებიც. სახელმწიფო ენის საგნობრივი ჯგუფი: ყველა კლასის კურიკულუმის სათაურის ველში მიეთითოს სახელმძღვანელო.
ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სპორტის საგნობრივი ჯგუფი: სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა შეფასების რუბრიკა და შეფასების კრიტერიუმები. მასწავლებლებს მიეცათ რჩევა: კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა თემისთვის შეიმუშაონ შეფასების რუბრიკები ესგ-ს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სტანდარტის შესაბამისად.
ინდიკატორი N 2.2.2.1;	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფი: კურიკულუმში მითითებული რესურსი მწირია, სასურველია მათი გამრავალფეროვნება.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	რჩევა



ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოდგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფი: წარმოდგენილ დოკუმენტაციაში 7-9 კლასების მუსიკის საგნობრივი კურიკულუმები ნაწილობრივ შეესაბამება. ველები მოითხოვს დაკორექტირებას. კონკრეტულად: თვეების ველი ამოსაღება, საკითხი/საკითხთა კლასტერის ველი უნდა გაიმიჯნოს ცნებისა და ქვეცნების ველს. უნდა დაემატოს , კონტექსტ მაგალითის,მაგალითები შედარებისათვის და სასწავლო რესურსების ველი. 2024-2025 სასწავლო წელსვე დაკორექტირდეს საგნობრივ კურიკულუმებში რჩევები, რათა მკაფიოდ იკითხებოდეს რომელი გრძელვადიანი მიზნები მუშავდება ,რა რესურსებით და კონტექსტ მაგალითების გამოყენებით. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი: საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) სტრუქტურული თვალსაზრისითი მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს. თუმცა, მნიშვნელოვანია მე-7 კლასის ისტორიის კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს შუალედური მიზნის (შემოქმედებითი ტიპის დავალება) აღწერილობა კონკრეტული საკითხის/ საკითხების მიხედვით. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი: მე-7 კლასის ისტორიის კურიკულუმში მნიშვნელოვანია ასახული იყოს შუალედური მიზნის მიხედვით შემოქმედებითი პროდუქტის აღწერილობა (კომპლექსური დავალების იდეა/კომპლექსური ტიპის დავალება) კონკრეტული საკითხის ფარგლებში. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი: მერვე კლასის ფიზიკის კურიკულუმში თემები განისაზღვროს სტანდარტის შესაბამისად, თემაში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი: სასურველია ყველა კლასში კურიკულუმს ერთვოდეს იმ კომპლექსური დავალების პირობები, რომელზე მუშაობაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესში, განისაზღვროს მეტი შუალედური მიზანი. სახელმწიფო ენის საგნობრივი ჯგუფი:
-------------------------------	--	---



		სასურველია, საბაზო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის დანართში ჩაიწეროს კონკრეტული კომპლექსური ბუნების დავალებისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა დავალების პირობაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმების/ მოთხოვნების გათვალისწინებით; სასურველია, საბაზო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო გასწორდეს ისე, რომ ერთმანეთისგან გაემიჯნოს სამიზნე ცნების, ქვეცნებისა და საკითხების გრაფები.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფი: წარმოდგენილ დოკუმენტაციაში 7-9 კლასების მუსიკის საგნობრივი კურიკულუმები ნაწილობრივ შევსებულია. ველები მოითხოვს დაკორექტირებას. კონკრეტულად: თვეების ველი ამოსაღებია, საკითხი/საკითხთა კლასტერის ველი უნდა გაიმეოროს ცნებისა და ქვეცნების ველს. უნდა დაემატოს , კონტექსტ მაგალითის, მაგალითები შედარებისათვის და სასწავლო რესურსების ველი. 2024-2025 სასწავლო წელსვე დაკორექტირდეს საგნობრივ კურიკულუმებში რჩევები, რათა მკაფიოდ იკითხებოდეს რომელი გრძელვადიანი მიზნები მუშავდება ,რა რესურსებით და კონტექსტ მაგალითების გამოყენებით. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი: მე-7 კლასის ისტორიის კურიკულუმში მნიშვნელოვანია ასახული იყოს შუალედური მიზნის მიხედვით შემოქმედებითი პროდუქტის აღწერილობა (კომპლექსური დავალების იდეა/კომპლექსური ტიპის დავალება) კონკრეტული საკითხის ფარგლებში. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი: მერვე კლასის ფიზიკის კურიკულუმში თემები განისაზღვროს სტანდარტის შესაბამისად, თემაში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი: სასურველია ყველა კლასში კურიკულუმს ერთვოდეს იმ კომპლექსური დავალების პირობები, რომელზე მუშაობაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესში, განისაზღვროს მეტი შუალედური მიზანი. სახელმწიფო ენის საგნობრივი ჯგუფი:



		ყველა კლასის კურიკულუმის სათაურის ველში გაიწეროს განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა. სპორტის საგნობრივი ჯგუფი: გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე ფიზიკური აღზრდა და სპორტი ტარდება კვირაში ერთი საათი. სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია საბაზო საფეხურზე ფიზიკური აღზრდა და სპორტი ჩატარდეს კვირაში 2 საათი.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი: სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ ისტორიის კურიკულუმებში ძირითად რესურსად სახელმძღვანელოსთან ერთად მითითებული იყოს სხვადასხვა ელექტრონული სახის რესურსები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი: სასურველია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არსებული ხელნაკეთი გამწოვი შეიცვალოს გამწოვი კარადით სასურველია ლაბორატორიული აღჭურვილობის განთავსებისთვის სკოლამ გამოყოს საცავი ოთახი. სახელმწიფო ენის საგნობრივი ჯგუფი: ყველა კლასის კურიკულუმის სასწავლო რესურსების გრაფაში სახელმძღვანელოსთან ერთად ცალკეულ შემთხვევებში გაიწეროს ელექტრონული რესურსებიც. სახელმწიფო ენის საგნობრივი ჯგუფი: ყველა კლასის კურიკულუმის სათაურის ველში მიეთითოს სახელმძღვანელო.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი: მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მეტად იყოს კავშირში კონკრეტულ საკითხის მიხედვით გრძელვადიან მიზანთან/მიზნებთან. ისტორიის მიხედვით მნიშვნელოვანია დაიხვეწოს არსებული რუბრიკები, რაც გულისხმობს მკაფიო კავშირებს კონკრეტული საკითხის მიხედვით გრძელვადიან მიზანთან და სტანდარტის



		ინდიკატორებთან როგორც გეოგრაფიისა და მოქალაქეობის მიხედვითაა წარმოდგენილი. სპორტის საგნობრივი ჯგუფი: სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა შეფასების რუბრიკა და შეფასების კრიტერიუმები. მასწავლებლებს მიეცათ რჩევა: კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა თემისთვის შეიმუშაონ შეფასების რუბრიკები ესგ-ს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სტანდარტის შესაბამისად.
--	--	--

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი: მნიშვნელოვანია, მე-10 და მე-11 კლასის ისტორიისა და საქართველოს ისტორიის კურიკულუმებში დაემატოს საკითხთა ჩამონათვალი, მე-10 კლასის სამოქალაქო განათლების კურიკულუმში დაემატოს ძირითადი კონტექსტ- მაგალითები, ასევე საკითხთა ჩამონათვალი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი: ფიზიკის მეათე და მეთერთმეტე კლასის კურიკულუმში თემის ფარგლებში განისაზღვროს ყველა სამიზნე ცნებაზე მუშაობა. სახელმწიფო ენის საგნობრივი ჯგუფი: საშუალო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის დანართში ჩაიწეროს კონკრეტული კომპლექსური ბუნების დავალებისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა დავალების პირობაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმების/ მოთხოვნების გათვალისწინებით. სასურველია, საბაზო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო გასწორდეს ისე, რომ ერთმანეთისგან გაემიჯნოს სამიზნე ცნების, ქვეცნებისა და საკითხების გრაფები.



ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი: ფიზიკის მეათე და მეთერთმეტე კლასის კურიკულუმში თემის ფარგლებში განისაზღვროს ყველა სამიზნე ცნებაზე მუშაობა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი: სასურველია ყველა კლასში კურიკულუმს ერთვოდეს იმ კომპლექსური დავალების პირობები, რომელზე მუშაობაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესში, განისაზღვროს მეტი შუალედური მიზანი. სახელმწიფო ენის საგნობრივი ჯგუფი: ყველა კლასის კურიკულუმის სათაურის ველში გაიწეროს განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა. სპორტის საგნობრივი ჯგუფი: გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე ფიზიკური აღზრდა და სპორტი ტარდება კვირაში ერთი საათი. სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია საშუალო საფეხურზე ფიზიკური აღზრდა და სპორტი ჩატარდეს კვირაში 2 საათი.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი: საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ ისტორიისა და საქართველოს ისტორიის კურიკულუმებში ძირითად რესურსად მხოლოდ სახელმძღვანელოა მითითებული, რომელიც გამომცემლობის მიხედვით დასაზუსტებელია, ასევე სასურველია დაემატოს სხვადასხვა ტიპის ელექტრონული რესურსები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი: სასურველია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არსებული ხელნაკეთი გამწოვი შეიცვალოს გამწოვი კარადით სასურველია ლაბორატორიული აღჭურვილობის განთავსებისთვის სკოლამ გამოყოს საცავი ოთახი. სახელმწიფო ენის საგნობრივი ჯგუფი: ყველა კლასის კურიკულუმის სასწავლო რესურსების გრაფაში სახელმძღვანელოსთან ერთად ცალკეულ შემთხვევებში გაიწეროს ელექტრონული რესურსებიც. სახელმწიფო ენის საგნობრივი ჯგუფი:



		ყველა კლასის კურიკულუმის სათაურის ველში მიეთითოს სახელმძღვანელო.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი: საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის გეოგრაფიისა და ისტორიის რუბრიკები მნიშვნელოვანია დაიხვეწოს კონკრეტული საკითხის მიხედვით გრძელვადიან მიზანთან და სტანდარტის ინდიკატორებთან მიმართებით, როგორც სამოქალაქო განათლების მიხედვითაა წარმოდგენილი. სპორტის საგნობრივი ჯგუფი: სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა შეფასების რუბრიკა და შეფასების კრიტერიუმები. მასწავლებლებს მიეცათ რჩევა: კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა თემისთვის შეიმუშაონ შეფასების რუბრიკები ესგ-ს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სტანდარტის შესაბამისად.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე
წინა ვიზიტის პერიოდში რეკომენდაციები და/ან რჩევები არ გაცემულა.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

2. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
3. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
6. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
7. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

შპს ხერხემის სკოლის მისიაა - ახალგაზრდობის აღზრდა მამულისშვილურ სულისკვეთებით, სამშობლოს სიყვარულის და ერთგულების შეგნებით, კულტურული ფასეულობებისა და რელიგიებისადმი პატივისცემით, ტოლერანტობით.

სკოლა მოწოდებულია შექმნას უსაფრთხო სასწავლო გარემო, სადაც მოზარდები ეზიარებიან ზოგადსაკაცობრიო ჰუმანისტურ იდეალებს და ღირებულებებს, ასევე განავითარებენ პოზიტიურ უნარ - ჩვევებს. სკოლა ოჯახთან ერთად ზრუნავს მოსწავლეთა უწყვეტ განვითარებასა და განათლებაზე, ხელს უწყობს მოსწავლეებში თავისუფალი აზროვნების განვითარებას.

სკოლა მიზნად ისახავს ერთის მხრივ, იხელმძღვანელოს „კანონი ზოგადი განათლების შესახებ“ და ეროვნული სასწავლო გეგმის ნორმებით, მეორე მხრივ, აქტიურად ამოქმედოს პროგრესული ფსიქოპედაგოგიური მიდგომები და დანერგოს სწავლების და განათლების თანამედროვე ტექნოლოგიები. ეს განმაპირობებლები ხელს შეუწყობს თითოეული მოსწავლის ჩამოყალიბებას ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და განვითარებული, ცივილიზებული მსოფლიოს იდეებისა და ღირებულებების მიხედვით.

სკოლის მისიის განსაკუთრებული პრიორიტეტია: უცხოური ენისა და მათემატიკის გაღრმავებული სწავლება, ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლება, რომლებიც მოსწავლეს სამომავლოდ, კონკრეტულ გარემოში თავისუფლად რეალიზებისა და თვითდამკვიდრების საშუალებას მისცემს. სკოლის სამიზნე ჯგუფებია: ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი ეროვნების - განსხვავებული აღმსარებლობის მქონე მოსწავლეები.

სკოლის ხედვის თანახმად - ყველა მოსწავლე განათლებას მიიღებს უსაფრთხო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან დაცულ გარემოში. მოსწავლეები შეიძენენ ცოდნას და განვითარებენ უნარებს, რომლებიც საჭიროა წარმატებული მომავლისათვის., სკოლის მიზნების შესრულებაზე პასუხისმგებლობა გაზიარებულია ოჯახებს, სკოლის პერსონალს და საზოგადოებას შორის.



შპს ხერხემლის ღირებულებებია:

- უსაფრთხოება
- განათლების მაღალი ხარისხი
- კონკურენტუნარიანი პატრიოტი მოქალაქის აღზრდა
- გლობალურ პროცესში ინტეგრაცია
- საზოგადოების მაღალი ჩართულობა

ექსპერტთა შეფასებით წარმოდგენილი მისია გამომდინარეობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან, მაგრამ ხედვასთან დაკავშირებით, რომელიც ფაქტიურად იმეორებს მისიას, სკოლას მიეცა რჩევა - რამდენადაც ხედვა წარმოადგენს შუა რგოლს მისიასა და სტრატეგიულ გეგმას შორის, შესაბამისად, ის უნდა წარმოადგენდეს სტრატეგიული გეგმის შემუშავების ძირითად ორიენტირს, ის არის მოკლე განაცხადი, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის განვითარების საშუალოვადიან ან გრძელვადიან მიზნებს. ხედვაში ასახული უნდა იყოს სკოლის მისწრაფებები ანუ როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ.

წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

წარმოდგენილი მისიიდან და ხედვიდან იკვეთება, რომ სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი როლი სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცის შექმნაში (სკოლა მოწოდებულია შექმნას უსაფრთხო სასწავლო გარემო, სადაც მოზარდები ეზიარებიან ზოგადსაკაცობრიო ჰუმანისტურ იდეალებს და ღირებულებებს, ასევე განვითარებენ პოზიტიურ უნარ - ჩვევებს. სკოლის სამიზნე ჯგუფებია: ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი ეროვნების - განსხვავებული აღმსარებლობის მქონე მოსწავლეები).

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ მისიითა და ხედვით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სკოლა გეგმავს უზრუნველყოფას: უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო და სასწავლო გარემო; ხელი შეუწყოს მოსწავლის ფიზიკურ, კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარებას; იზრუნოს პედაგოგების მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე, მატერიალურ - ტექნიკური ბაზის სრულყოფაზე, განვითარებასა და აღჭურვაზე; ხელი შეუწყოს მშობლის აქტიურ ჩართულობას შვილის სასწავლო - სააღმზრდელო პროცესში. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები. სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ მათ გამოიყენეს ზეპირი ინტერვიუს მეთოდი, კათედრებზე წინასწარ შედგენილი კითხვების მეშვეობით. მართალია, სკოლამ შესაბამისი მტკიცებულებები ვერ წარმოადგინა, თუმცა მასწავლებლებთან და

მშობლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი ერთობლივად განიხილავდნენ სხვადასხვა ვერსიებს. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

ღირეცეცის წარმომადგენლებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ისინი იზიარებენ მისიით გაცხადებულ მიზნებს, რაც ასევე დადასტურდა პედსაბჭოს ოქმით. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას და განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს მათ საჯაროდ ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სკოლის სახელწოდება - „შპს ხერხემი“ დასკვნის პროექტის ფარგლებში არ იყო შესაბამისობაში „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერმინთან (მუხლი 2, პ. „ჟ“- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა). შესაბამისად ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრიდან, რითაც დასტურდება, რომ ცვლილება შევიდა დასახელებაში და სკოლის სახელად განისაზღვრა „შპს ხერხემის კერძო სკოლა“. რითაც შესაბამისობაში მოვიდა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერმინთან.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს ხერხემის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- ვებგვერდი.

შეფასება:

☒ შესაბამისა

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

5. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
6. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
7. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
8. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

შპს ხერხემლა ავტორიზაციი ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელშიც იყო მხოლოდ ზოგადი ჩანაწერი მონიტორინგის მნიშვნელობის შესახებ. დოკუმენტის თანახმად სკოლაში ინტენსიურად უნდა განხორციელდეს უკუკავშირის მიღება ყველა დაინტერესებული პირებისაგან და დაიგეგმოს შესაბამისი სახის კვლევები - რაოდენობრივი და თვისებრივი; - საჭიროების შემთხვევაში, ტარდება გარე შეფასება. მონიტორინგისა და შეფასების პროცესს წარმართავს სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი და მისი შედეგები აისახება სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში.

სკოლის 1 წლიან სამოქმედო გეგმას, პრეამბულაში წარმოდგენილი ჰქონდა გეგმის შემუშავების მეთოდი, რომელიც ასევე ძალიან ზოგადი იყო. შესაბამისად დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორი შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“. რამდენადაც წარმოდგენილი დოკუმენტები არ წარმოადგენდა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიას, ისინი არ მოიცავდა სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავების საკითხებს, ასევე არ განსაზღვრავდა სასკოლო საზოგადოებისა და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლაში



წარმოადგინა ახლად შემუშავებული - სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გათვალისწინებულია ხარვეზში ასახული საკითხები. შესაბამისად ინდიკატორის შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სკოლის შვიდწლიანი 2022-2029 ს/წ სტრატეგიული გეგმა მოიცავს შემდეგ სტრატეგიული მიმართულებებს:

1. სკოლის მატერიალური-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
2. ჯანსაღი უსაფრთხო და ორგანიზებული გარემო;
3. საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები/პროცედურები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;
4. სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა - მასწავლებელთა პროფესიული განვითარება;
5. სხვა მიმართულებები (ამ ნაწილში განიხილება ისეთი საკითხები, რომელიც აუცილებელია სკოლის განვითარებისთვის და რომლის გათვალისწინებაც წინასწარ შეუძლებელია);

ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილ სტრატეგიულ გეგმას არ ახლდა და არც ცალკე დოკუმენტად დაწესებულებას არ წარმოუდგენია სიტუაციური ანალიზი (თუმცა გეგმაში განსაზღვრული იყო, რომ სტრატეგიული დაგეგმვისას სკოლა იყენებს სტრატეგიული დაგეგმვის ე.წ. SWOT-ანალიზის მეთოდს), მასში სტრატეგიული მიზნები არ იყო ჩაშლილი ამოცანებად, არ იყო განსაზღვრული მიზნის შესრულების ინდიკატორები და რისკები. ასევე წარმოდგენილი გეგმა არ იყო თანმიმდევრული და მასში არ იყო ასახული მისიით განსაზღვრული რიგი საკითხებისა. მაგ: სკოლის მისიის განსაკუთრებული პრიორიტეტია: უცხოური ენისა და მათემატიკის გაღრმავებული სწავლება, ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლება, რასთან დაკავშირებითაც გეგმაში არაფერი იყო ნათქვამი. ექსპერტთა მოსაზრებით წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა არ აკმაყოფილებდა ინდიკატორის მოთხოვნებს და შესაბამისად, დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, როგორც არ შეესაბამება. თუმცა, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი, რომელშიც ცვლილება შევიდა დირექტორის 2024 წლის, 27 ნოემბრის, N2.86 ბრძანებით და რომელშიც აისახა ექსპერტთა მიგნებები. შესაბამისად დოკუმენტს ახლავს, სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებული, სკოლის SWOT ანალიზი, რომლის საფუძველზეც, გამოვლინდა შპს ხერხემის წინაშე არსებული შესაძლებლობები და საფრთხეები (OT ნაწილი), სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები (SW ნაწილი), დაიტანა შესაბამის მატრიცაზე და რომელზე დაყრდნობითაც, სკოლამ განსაზღვრა გრძელვადიანი 7 სტრატეგიული მიზანი:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ადამიანური რესურსის განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;

- მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;
- ორგანიზაციული განვითარება.

წარმოდგენილი დოკუმენტი შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს; აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას; დასკვნის პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი, 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შეთანხმებული იყო შპს ხერხემის პედაგოგიურ საბჭოსთან. სამოქმედო გეგმის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ ის ფუძნებოდა, არსებულ სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, როგორც უკვე აღინიშნა, სკოლამ წარმოადგინა შეცვლილი სტრატეგიული გეგმა და ასევე 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც ცვლილება შევიდა 2024 წლის 27 ნოემბრის N2.86 ბრძანებით და დამტკიცდა სკოლის დირექტორის N2.88 ბრძანებით. სამოქმედო გეგმის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში ძირითადი მიზნები ჩაშლილი იყო ამოცანებად (აქტივობები), განსაზღვრული იყო შესრულების ვადა თვეების მიხედვით, შემსრულებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, მაგრამ გეგმაში არ იყო წარმოდგენილი შესრულების ინდიკატორები, და შესაბამისი რესურსები. ასევე ამოცანები რიგ შემთხვევაში არ არის იყო სწორად ფორმულირებული. მაგ ამოცანებად იყო ასეთი საკითხები: - სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დარაჯი; უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგისა და სამედიცინო დახმარების წესი. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები, დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, როგორც შეუსაბამო, თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად გადმოგზავნილი სამოქმედო გეგმაში, ეს ხარვეზები აღმოფხვრილია. მასში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შვიდწლიანი 2022-2029 ს/წ სტრატეგიული გეგმა;
- 2024-2025ს/წ სამოქმედო გეგმა;
- სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;

- მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია,

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

როგორც უკვე აღინიშნა (იხ.1.2.1.1.) შპს ხერხემლა, ვიზიტის პერიოდში, წარმოადგინა სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც წარმოადგენდა მხოლოდ ზოგად ჩანაწერს მონიტორინგის მნიშვნელობის შესახებ. დოკუმენტის თანახმად სკოლაში ინტენსიურად უნდა განხორციელდეს უკუკავშირის მიღება ყველა დაინტერესებული პირებისაგან და დაიგეგმოს შესაბამისი სახის კვლევები - რაოდენობრივი და თვისებრივი; - საჭიროების შემთხვევაში, ჩატარდეს გარე შეფასება. მონიტორინგისა და შეფასების პროცესს წარმართავს სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი და მისი შედეგები აისახება სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში.

წარმოდგენილი დოკუმენტით არ იყო განსაზღვრული მონიტორინგის პროცედურები, პასუხისმგებელი პირები, ვადები, შეფასების სახეები, არ იყო გაწერილი თუ როგორ ხდება დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაციის მოგროვება და გაანალიზება. ასევე არ იყო განსაზღვრული მონიტორინგზე უკუკავშირის ვადა და შეხვედრების ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირი. **შესაბამისად დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორი შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“.**

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა ახალი დოკუმენტი, რომლის თანახმად მონიტორინგი განხორციელდება: თვითშეფასების, უკუკავშირისა და შიდა/გარე აუდიტის მეშვეობით. შიდა აუდიტს ატარებს დირექტორის მოადგილე წინასწარ შემუშავებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით და მის ფარგლებში მოწმდება გეგმის შესრულების პროცესი. ყველა სათანადო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი აწარმოებს თვითშეფასებას და წლიურად ადგენს მათთვის დაკისრებული ვალდებულებების შესრულების ანგარიშს. შემაჯამებელი ანგარიშები განსახილველად წარედგინება დირექტორს, რომელიც მოადგილესთან ერთად ქმნის შემაჯამებელ დოკუმენტს. შემაჯამებელ ანგარიშში ასახული უნდა იყოს: რა ღონისძიებები განხორციელდა და რა მიზნებია მიღწეული დაგეგმილ პერიოდში; რისი განხორციელება არ მოხდა წინასწარ დაგეგმილ ვადაში და რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოვლინდა; რა ზეგავლენას მოახდენს ნაწილობრივ შესრულებული ქმედებები მთლიან მიზნებისა და ამოცანებზე; რომელი სტრატეგიული ინიციატივა უნდა გადამოწმდეს მომდევნო წლისთვის.



დოკუმენტის თანახმად სტრატეგიული გეგმის შესრულების ეფექტიანობა დამოკიდებულია რაციონალურ გათვლებზე, 1 წლიანი სამოქმედო აქტივობების რეალისტურ შეფასებაზე, 3 და 7 წლიან პერიოდში თანამიმდევრულად შესასრულებელ ღონისძიებათა რელევანტურობაზე. ექსპერტთა მიერ აღნიშნული დოკუმენტის “სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია” გაცნობის შედეგად დაადგინა, რომ ის მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

შპს ხერხემს არ წარმოდგენია მონიტორინგის განხორციელების მტკიცებულებები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა პირველად გადის პროცესს ახალი 4 სტანდარტით. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები, დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, როგორც შეუსაბამო.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლის მიერ წარმოდგენილი სტანდარტების შესაბამისობის გეგმის თანახმად, მონიტორინგის განხორციელება იგეგმება სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამის ვადებში, კერძოდ 05.12.2024 - 01.09.2025 პერიოდში. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

შპს ხერხემს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შესახებ ანგარიში არ წარმოდგენია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ ბოლო ავტორიზაცია, სამი სტანდარტის ფარგლებში, 2023 წლის თებერვალში გაიარა. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები, დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, როგორც შეუსაბამო.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლის მიერ წარმოდგენილი სტანდარტების შესაბამისობის გეგმის თანახმად, 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს სკოლა მონიტორინგის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმების განხორციელების შესახებ ანგარიშს, ხოლო სტრატეგიული გეგმისას - შესაბამის ვადაში, კერძოდ 05.12.2024 - 05.12.2025 პერიოდში. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

როგორც უკვე აღინიშნა, შპს ხერხემს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შესახებ ანგარიში და შესაბამისად შედეგების, სკოლის შემდგომი განვითარებისთვის, გამოყენების მტკიცებულება არ წარმოდგენია. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები, დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, როგორც შეუსაბამო. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლის მიერ წარმოდგენილი სტანდარტების შესაბამისობის გეგმის თანახმად, 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს სკოლა მონიტორინგის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმების განხორციელების შესახებ ანგარიშს, ხოლო სტრატეგიული გეგმისას - შესაბამის ვადაში, კერძოდ 05.12.2024 -

05.12.2025 პერიოდში, რაც გამოყენებული იქნება სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შვიდწლიანი 2024-2031 ს/წ სტრატეგიული გეგმა;
- სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

5. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
6. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

შპს ხერხეშში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: დამფუძნებელთა საბჭო, დირექცია, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი და სააპელაციო კომიტეტი. სკოლაში ფუნქციონირებს 3 კათედრა, რომელშიც გაერთიანებული არიან სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლები. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის <https://emis.ge/> მონაცემების, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი საშტატო განრიგის თანახმად სკოლაში დასაქმებულები არიან: 1 დირექტორი, 1 დირექტორის მოადგილე, 1 საქმისმწარმოებელი, 1 ბუღალტერი, 1 IT სპეციალისტი, 1 ექიმი, 1 მატერიალური უზრუნველყოფის კოორდინატორი, 1 ბიბლიოთეკარი, 1 დამლაგებელი, 1 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. სკოლის კოლეგიური სამუშაო ჯგუფების კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და დირექტორის მიერ დამტკიცებული დებულებებით: პედსაბჭოს დებულება, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, მშობელთა ურთიერთობის დებულება, ბიბლიოთეკის დებულება და სხვა. სკოლაში 21 მასწავლებელია,

რომელთა შორის 5-ს მართალია უდასტურდება საგნის/საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, თუმცა არ აქვთ ჩაბარებული საგნის გამოცდები და არ აქვთ გავლილი მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა. დირექტორის განმარტებით, მას გამოცხადებული აქვს შესაბამისი ვაკანსიები, რაც <https://teacherjobs.ge> -ს შემოწმების შედეგად დადასტურდა.

პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, ასევე შპს ხერხემის დებულებით განსაზღვრულია დასაქმებულთა უფლება–მოვალეობები თუმცა მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები ზოგადია და მკაფიოდ არ არის განსაზღვრული. ამ საკითხთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რჩევა – მკაფიოდ განსაზღვროს სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

სკოლის პერსონალთან ხელშეკრულებები გაფორმებულია პერსონალის სამუშაო აღწერილობების შესაბამისად. ვიზიტის პერიოდში ძირითად მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული იყო, როგორც შემცვლელ მასწავლებლებთან, რაც არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობას. შესაბამისად, დასკვნის პროექტის ფარგლებში, ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც არ შეესაბამება.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა ხელშეკრულების ნიმუშები, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლამ მასწავლებლებთან გააფორმა ახალი ხელშეკრულებები კვალიფიკაციის შესაბამისად. ზოგიერთ შემთხვევაში შემცვლელი მასწავლებლის ხელშეკრულება საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით შეიცვალა მოწვეულით, ხოლო ნაწილის დასაქმება მოხდა სტატუსის შესაბამისად ღია კონკურსის გზით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის (დებულებები, პედსაბჭოს, კათედრების, პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, პერსონალის სამუშაო აღწერილობები) შესწავლის, ასევე სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ მათი უფლება მოვალეობები და პასუხისმგებლობები გამიჯნულია და არ ხდება ფუნქციათა აღრევა, ან გადაკვეთა, რაც თავისთავად ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლაში არის თანამშრომლობითი და მეგობრული გარემო, ყველა თანამშრომელი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მაქსიმალურადაა ჩართული სკოლის მიზნებისა და გეგმის განხორციელებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პედსაბჭოს დებულება;
- კათედრების დებულება;
- პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის <https://emis.ge/> -ის ამონაწერი;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- საშტატო განრიგი;

- სკოლის სტრუქტურა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

7. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
8. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
9. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;
10. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
11. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
12. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

სკოლაში პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით, ხელშეკრულებების, პედსაბჭოს, კათედრების დებულებების, პერსონალის მართვის პოლიტიკის და შინაგანაწესის მიხედვით.

სკოლის შრომის შინაგანაწესი თანხვედრაშია პერსონალთან გაფორმებულ ინდივიდუალურ ხელშეკრულებებთან, სკოლის სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებთან. შინაგანაწესში, საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერი ცვლილება განიხილება და მტკიცდება დირექტორის მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

სკოლის შინაგანაწესის, ასევე ადამიანური მართვის პოლიტიკის შესწავლით და სკოლის დირექციასთან გასაუბრებით, დგინდება, რომ სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, ან/და მასზე რეაგირებისათვის, კადრების ნაკლებობისა თუ ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, სკოლა დროულად აცხადებს ვაკანსიებს და მოქმედებს როგორც კანონმდებლობით, ისე შიდა ბრძანებებით განსაზღვრული ვადების შესაბამისად. ამის დასტურად სკოლამ წარმოადგინა ამონაბეჭდები www.pedagogi.ge/teachersjobs.ge. - გვერდიდან,



რომელზეც განთავსებული იყო ფიზიკის, დაწყებითის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, მათემატიკის, მუსიკის, რუსული ენის მასწავლებლების და ექიმის ვაკანსიები.

არასასურველი შედეგების თავიდან ასაცილებლად, პრევენციის მიზნით, სკოლა უზრუნველყოფს დასაქმებულთა სკოლაში გამოცხადების, წასვლის და გაცდენის კონტროლს. შინაგანაწესით (მუხლი 9) განსაზღვრულია სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი, რომლის თანახმად დაწესებულებაში თანამშრომლის დაგვიანებით გამოცხადების ან/და დღის განმავლობაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, დაწესებულებიდან გასვლის შესახებ და/ან წინასწარ ცნობილი მიზეზით დაწესებულებაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში (წინა დღეს, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი სამუშაოს დაწყებამდე მინიმუმ 1 საათით ადრე), პირი ვალდებულია აცნობოს სკოლის დირექტორს ან დირექტორის მოადგილეს. შინაგანაწესით განსაზღვრულია, ასევე რომ საპატიო მიზეზით დასაქმებულის სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, თუკი დასაქმებული წარმოადგენს ბიულეტენს, მას დახმარების სახით მიეცემა ანაზღაურება საავდმყოფო ფურცელში მითითებული ვადების შესაბამისად. არასაპატიო მიზეზით სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დასაქმებულს ხელფასიდან დაუკავდება გაცდენილი სამუშაო დროის შესაბამისი ანაზღაურება.

აღნიშნულის დასტურად სკოლამ წარმოდგინა გაცდენილი და შეცვლილი გაკვეთილების აღრიცხვის ჟურნალი, რომელშიც მითითებულია გაცდენის თარიღი, კლასი/კლასების, საათების რაოდენობისა და გაცდენის მიზეზები.

სკოლის შინაგანაწესში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრულია თანამშრომელთა მიღების, გათავისუფლებისა და წახალისების გამჭვირვალე სისტემა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგინა მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და პირადი საქმეები, რომლებიც გამოცხადებული ვაკანსიების შედეგად აიყვანეს. ესენი გახლავთ ფიზიკის, დაწყებითის, ბუნებისმეტყველების და ფიზიკური აღზრდის უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე პირები, რომელთა პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათ აქვთ შესაბამისი კომპეტენცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;

პერსონალის შერჩევის პროცესში, სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული "მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესისა" და შპს ხერხემის შინაგანაწესის (მუხლი 23) შესაბამისად. დოკუმენტის თანახმად სკოლის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად, გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას, დირექტორი უფლებამოსილია მოწვეული ან/და შემცვლელი მასწავლებლები დაასაქმოს სკოლაში კონკურსის გარეშე. ღია კონკურსის შემთხვევაში განცხადება მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის კონკურსის გამოცხადების შესახებ ქვეყნდება საჯაროდ, ინტერნეტსივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე - www.pedagogi.ge/www.teacherjobs.ge-ზე, რაც ექსპერტთა მიერ შემოწმებითაც დადასტურდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალის შერჩევისას სკოლა ითვალისწინებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დასაქმების შეზღუდვის



შემთხვევებს, თუმცა 10 თანამშრომელს წარმოდგენილი არ აქვს ცნობები იმასთან დაკავშირებით, რომ არ არიან ნასამართლევი, არ იძებნებიან, არ აქვთ ჩადენილი სექსობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და არ აქვთ ჩამორთმეული უფლება. აღნიშნულიდან გამომდინარე დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორის მოთხოვნები არ იყო დაკმაყოფილებული და შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით, სკოლამ განსაზღვრა რომ არსებული ხარვეზი აღმოიფხვრება 2025 წლის 30 ივნისამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

სკოლაში დასაქმებული მასწავლებლის ძირითადი ნაწილის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ გათვალისწინებულ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, მაგრამ პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებული არიან შემცვლელი მასწავლებლები, რომელთაც არ აქვთ მასწავლებლის სტატუსი და მათ პოზიციებზე გამოცხადებულია კონკურსი. ვაკანსიები ატვირთულია www.pedagogi.ge/teachersjobs.ge-ზე. როგორც უკვე აღინიშნა (იხ. 3.1.2.2) ეს ვაკანსიებია: ფიზიკის, დაწყებითის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, მათემატიკის, მუსიკის, რუსული ენის მასწავლებლების და ექიმის ვაკანსიები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრებას ემსახურება სკოლაში შექმნილი პედსაბჭო, სკოლის კათედრები, რომლებშიც გაერთიანებული არიან სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლები. ისინი განიხილავენ ცვლილებებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში. მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე ახორციელებენ კურიკულუმის მოდიფიცირებას. სხვადასხვა საკითხზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით. სკოლაში თანამშრომლობითი გარემოა და ყველა პირი, კომპეტენციის ფარგლებში, ჩართულია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. გუნდური და მონაწილეობითი მუშაობა გამოიკვეთა ასევე სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის დროსაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლის შინაგანაწესით მუხლი 12. განსაზღვრულია წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი, რომლის თანახმად, თანამშრომლის მიერ პროფესიულ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, წარმატებული და კვალიფიციური პედაგოგიური საქმიანობისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების

შესრულებისათვის, დირექტორმა შეიძლება გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: ბრძანებით მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა, დოკუმენტით განსაზღვრულია ასევე (მუხლი 13.) წახალისების გამოყენების წესი, რომლის თანახმად დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი. გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ბრძანებით და ინახება შესაბამის პირად საქმეში. დირექციის წევრი უფლებამოსილია მიმართოს დირექტორს დასაქმებულის წახალისების თხოვნით და დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი, თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა პრაქტიკაში ამ მექანიზმის არსებობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა მაქსიმალურად ცდილობს ხელი შეუწყოს მათ განვითარებას და მათი წარმატებული პროექტები ქვეყნდება სოციალურ გვერდზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს ხერხემის დებულება;
- პედსაბჭოს დებულება;
- კათედრების დებულება;
- პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- პერსონალის სამუშაო აღწერილობები.
- პერსონალთან გაფორმებულ ინდივიდუალური ხელშეკრულები;
- სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრები შედეგები.

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

შპს ხერხემლა წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის ერთერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის გამჭვირვალე შეფასების სისტემის შემუშავება და დანერგვა. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფს ევალება გაკვეთილებზე დასწრება/დაკვირვება/შეფასება და საჭიროების მიხედვით უკუკავშირის მიცემა. გარდა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფისა, სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში ხორციელდება კათედრის წევრთა შორის ურთიერთდასწრება და ხდება უკუკავშირის მიცემა. სკოლამ წარმოადგინა ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის დებულება და ჩატარებული სხდომის ერთერთი ოქმი, რომლის თანახმად, ჯგუფი აკვირდებოდა ერთი სემესტრის განმავლობაში (თანამშრომლობის ფორმატით) სხვადასხვა მასწავლებლების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს - მათი სწავლა-სწავლების პროცესს. სტრუქტურულად გამართული აქტივობები შესაბამისობაში მოდიოდა პროგრამასთან, მოსწავლეთა დონე და შესაძლებლობები გათვალისწინებული იყო გაკვეთილის მსვლელობის პროცესში, რესურსები დახვეწილი და საგაკვეთილო მასალას მისადაგებული. შეფასება კი გამჭვირვალე, ობიექტური, სახალისო და დაძლევადი. ოქმიდან ირკვევა, რომ მასწავლებლების მიერ განხორციელებული საგაკვეთილო პროცესის შეფასება მიმდინარეობდა სიტყვიერად და შესაბამისად სკოლამ ვერ წარმოადგინა შეფასების კრიტერიუმები. **აქედან გამომდინარე სკოლას მიეცა რჩევა - შეიმუშავოს და მასწავლებელთა თუ საგაკვეთილო პროცესის შეფასება განახორციელოს მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით.**

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის “პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტიც”, რომელიც განსაზღვრავს მართვის პრინციპებს, პოლიტიკას, პროცედურას და პერსონალთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს. დოკუმენტის თანახმად (მუხლი N8) პერსონალის შეფასება განიხილება როგორც კონსტრუქციული უკუკავშირი განვითარებისთვის, შესაბამისად შეფასება და უკუკავშირი დაფუძნებულია კოლეგების მხარაჭერასა და გუნდურ მუშაობაზე, მიზნობრივ დაგეგმვასა და პროცესების მონიტორინგსა და რეფლექსიაზე. სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ ავტონომიურობის და დამოუკიდებელი მოქმედების თავისუფლება. შესაძლებლობა, რომ დაგეგმონ, განახორციელონ ინოვაციური ხედვები. დირექტორმა, გასაუბრების დროს აღნიშნა, რაც დოკუმენტიც არის განსაზღვრული, რომ პერსონალი ყოველი სემესტრის ბოლოს ავსებს სპეციალური თვითშეფასების ფორმას, რომელიც მოიცავს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ანგარიშს და ანალიზს, ხოლო ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშის და ანალიზის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის დარგში დირექტორის მოადგილე, ახალი სასწავლო წლისთვის შეიმუშავებს პროფესიული მხარდაჭერის გეგმას, რომელსაც ამტკიცებს სკოლის



დირექტორი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები ანგარიშის და/ან ანალიზის სახით, რაც დაადასტურებდა პერსონალის მიერ თვითშეფასების პროცესს და პროფესიული მხარდაჭერის გეგმის არსებობას. სკოლას მიეცა რჩევა დოკუმენტურად აღრიცხოს ყველა ჩატარებული ღონისძიება, რომელიც მიმართული იქნება შპს ხერხემლის ადამიანური რესურსის საჭიროებების დადგენისა და მართვის პროცესში.

სკოლას შემუშავებული აქვს ასევე “ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმები და მართვის პოლიტიკის დოკუმენტი”, რომლის თანახმად შპს ხერხემლში ხორციელდება საკადრო ბაზის გაუმჯობესების, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებები - ახალი თანამშრომლებისათვის ტარდება შეხვედრები ორგანიზაციული კულტურის, სკოლის მისიისა და მიზნების გასაცნობად, საჭიროებისამებრ თანამშრომლებისთვის ტარდება ორგანიზაციული შეხვედრები სხვადასხვა საგაკვეთილო თუ სამუშაო პროცესში საჭირო პროგრამების გამოყენებაში (WORD, EXCEL, POWER POINT და ა.შ). თანამშრომლებს პერმანენტულად ეგზავნებათ ინფორმაცია სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ, მათი პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ტრენინგ კურსების შესახებ. ასევე აქტიურად გამოიყენება სკოლის შიდა ადამიანური რესურსი - სკოლის დირექტორი, კათედრის ხელმძღვანელები, ტუტორები, რომლებიც ატარებენ შესაბამის ტრენინგებს. სკოლის ბიბლიოთეკა მომარაგებულია შესაბამისი პროფესიული ლიტერატურით, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ყველა დაინტერესებული პირისათვის. აღნიშნულის დასტურად სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა მიერ სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ტრენინგების დამადასტურებელი სერტიფიკატები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

4. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

როგორც უკვე აღინიშნა, დირექციის განმარტებით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის ბაზაზე ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრები ესწრებიან მასწავლებლებს გაკვეთილებზე, ხორციელდება ასევე კათედრის წევრთა შორის ურთიერთდასწრება, პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ სკოლა დასაქმებულებში აფასებს პროფესიონალიზმსა და განათლების დონეს, შედეგების მიღწევის ორიენტაციას, ინიციატივებს, სწავლისა და მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარს, პროფესიული და კორპორაციული ეთიკის დაცვას. პროფესიული განვითარების საფუძველი შეიძლება იყოს; ა) სტრატეგიული განვითარების გეგმის საჭიროებები; ბ) გარემოში არსებული ცვლილებები (ტექნოლოგიური, საკანონმდებლო და ა.შ); გ) ორგანიზაციული შედეგები (შეფასების შედეგები, კადრების დენადობა და ა.შ); დ) თანამშრომელთა ინდივიდუალური პროფესიული საჭიროებები და ინიციატივები და სხვა. თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტი, რომელიც ასახავდა შეფასების ანგარიშებს და გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე პერსონალის განვითარების გეგმას. შესაბამისად დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორის მოთხოვნები არ იყო დაკმაყოფილებული და შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით, სკოლამ განსაზღვრა რომ გაითვალისწინებს ხარვეზს და შეფასებებსა და განვითარების გეგმებს აწარმოებს დოკუმენტურად პერსონალის მართვის პოლიტიკის შესაბამისად. შესრულების ვადად განსაზღვრულია 2024 წლის 5 დეკემბრიდან 2025 წლის 5 დეკემბრამდე პერიოდი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

5. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

რამდენადაც შპს ხერხეშვილი დასაქმებულია სულ 21 ადამიანი, ყველა მათგანი გაერთიანებულია ხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში - დისციპლინარულ კომიტეტში, ხარისხის უზრუნველყოფისა და მხარდაჭერის ჯგუფში, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებას, გუნდური მუშაობის პრინციპების გათვალისწინებით. როგორც უკვე აღინიშნა სკოლა სთავაზობს მასწავლებლებს სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ ტრენინგებს, რაც თავისთავად ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

6. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი სამუშაო გარემოსთან თანამშრომლების ინტეგრაციისთვის. თანამშრომლის მიღებისას სკოლის ადმინისტრაცია მას აცნობს და გადასცემს სკოლის შინაგანაწესს, განუმარტავს ფუნქცია-მოვალეობებს, გადასცემს თანამდებობრივ ინსტრუქციას, აცნობს უსაფრთხოების წესებს, რაც ემსახურება თანამშრომლის სწრაფად გარკვევას მნიშვნელოვან საკითხებში, შფოთვის და სტრესის შემცირებას, ეფექტურ სოციალიზაციას და სკოლისადმი ერთგულების ჩამოყალიბებას. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

7. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლაში პოზიტიური, მეგობრული და თანამშრომლობითი გარემოა, რასაც დირექტორთან ერთად მთელი კოლექტივი ქმნის. ისინი საკუთარი ინიციატივებით, ერთობლივად გეგმავენ ღონისძიებებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და ზრუნავენ ერთმანეთის განვითარებაზე. სკოლის სამოქმედო გეგმის ერთერთ მთავარ მიზანს სკოლის პერსონალის განვითარება წარმოადგენს - პერსონალის პროფესიული საჭიროებების კვლევა, მათი განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა. **აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი სერტიფიკატებით და სკოლის პერსონალთან გასაუბრებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმები და მართვის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
3. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
4. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
5. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;

შპს ხერხემს შემუშავებული აქვს სასკოლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მეთოდოლოგიის დოკუმენტი და ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიზანია ხარისხის მართვის ერთიანი სისტემის შექმნა. წარმოდგენილი მექანიზმები ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს: დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე და განავითარე. დოკუმენტების თანახმად მონიტორინგის, შეფასება-შემოწმებისა და კონფიდენციალური გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე, სკოლა შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და შესაბამის სამოქმედო გეგმას, რაც საბოლოოდ, მიზნად ისახავს არსებულ სტანდარტებთან სკოლის შესაბამისობის მიღწევას. ექსპერტთა შეფასებით შემუშავებული დოკუმენტები ძალიან ზოგადია, რასთან დაკავშირებითაც გაიცა რჩევა - ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში აისახოს, თუ სკოლის საქმიანობის რომელი ასპექტი რა პერიოდულობით, რა თანმიმდევრობით, რომელი ინსტრუმენტებით და ვის მიერ უნდა განხორციელდეს.

სასკოლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მეთოდოლოგიის დოკუმენტს, რომელიც 2022 წელს არის შემუშავებული თან ახლავს 2024-2025 წლის SWOT ანალიზი, რაც ვფიქრობთ ტექნიკური შეცდომაა და წლებია არასწორად მითითებული. დოკუმენტში ხაზგასმულია ასევე ისიც, რომ რეაგირებისა და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით, შეფასების ერთ-ერთ საკვანძო და მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს მონიტორინგის შედეგების ანალიზი, თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, კერძოდ, ანგარიშები, ჩატარებული მონიტორინგის შედეგები, გაცემული რეკომენდაციები რაც დაადასტურებდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად განხორციელებულ ქმედებებს, წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის შესაბამისად. შესაბამისად დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორის მოთხოვნები არ იყო დაკმაყოფილებული და შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით, სკოლამ განსაზღვრა რომ გაითვალისწინებს ხარვეზს და შემდგომში ყველა ტიპის მონიტორინგსა და ანგარიშგებას განხორციელებს წერილობითი ფორმით. შესრულების ვადად განსაზღვრულია 2024 წლის 5 დეკემბრიდან 2025 წლის 5 დეკემბრამდე პერიოდი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“. დირექციის, ადმინისტრაციისა და სხვა სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციები გაწერილია შპს ხერხემის დებულებაში, ასევე სკოლის შინაგანაწესში, ხელშეკრულებებში, და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

შპს ხერხემის შინაგანაწესის მუხლი 22. განსაზღვრავს მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა საჩივრის განხილვის წესს, რომლის თანახმად კანონმდებლობით, დაწესებულების დებულებით და შინაგანაწესით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში მოსწავლეს, მასწავლებელს და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს წერილობითი საჩივრით მიმართოს დაწესებულების დირექტორს. საჩივარი არ განიხილება, თუკი მასში არ არის მითითებული შემდეგი რეკვიზიტები: ა) განმცხადებლის ვინაობა და მისამართი; ბ) უფლების დარღვევის არსი; გ) მოთხოვნის არსი. დირექტორის გადაწყვეტილება და მისი ქმედება ან უმოქმედობა შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით. დირექციის განმარტებით სკოლაში გასაჩივრების შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა უფლებების დაცვის და გარანტიების უზრუნველსაყოფად შექმნილია მექანიზმები, რომლებიც ასახულია სკოლის შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებში. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები კი მკაფიოდ არის განსაზღვრულია მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებით. აღნიშნული დადასტურდა არსებული ხელშეკრულებების გაცნობით, რომლებშიც ყველა მშობელს თუ თანამშრომელს ხელმოწერით აქვს დადასტურებული შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება, აღნიშნული ასევე დადასტურდა მშობლებთან, მოსწავლეებთან და სკოლის პერსონალთან გასაუბრებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მშობლის/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

2. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
3. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით, დადგინდა, რომ სკოლა ინფორმირებისათვის იყენებს კომუნიკაციის ელექტრონულ საშუალებებს: სოციალურ ქსელს, დახურულ ჯგუფებს, ელექტრონულ ფოსტას, ელექტრონულ ჟურნალს. შემუშავებულია მშობლების ინფორმირების ფურცლები. სკოლაში გამოკრულია საინფორმაციო დაფაც, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას და უკუკავშირის მიღების შესაძლებლობებს. დირექციასთან და მშობლებთან გასაუბრების შედეგებით ირკვევა, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ, რაშიც მშობლებს ეხმარებათ გამოკითხვის ფორმები, თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა უკუკავშირზე რეაგირების მექანიზმები და მტკიცებულებები.

შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა დეტალურად გაწეროს უკუკავშირზე რეაგირების პროცედურები. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით, დაგეგმა შესაბამისი აქტივობები. შესრულების ვადად განსაზღვრულია 2024 წლის 5 დეკემბრიდან 2025 წლის 5 დეკემბრამდე პერიოდი. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. კანონმდებლობის შესაბამისად ფორმირებულია და ფუნქციონირებს მართვის კოლეგიალური ორგანოები: პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლამ წარმოადგინა მათი მუშაობის ამსახველი ოქმები, გარდა მოსწავლეთა თვითმმართველობისა, მიუხედავად იმისა, რომ მის წევრებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში. შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა: დააოქმოს თვითმმართველობის შეხვედრები და ანგარიშებში ასახოს მიღებული გადაწყვეტილებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პედაგოგიური საბჭოს, საგნობრივი კათედრების მუშაობის ამსახველი ოქმები;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;
- შინაგანაწესი;
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება;
- გამოკითხვის ფორმები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

შპს ხერხეში, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად, რომელიც ადგენს სკოლის სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელ პრევენციულ და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს.

უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სკოლა ხელმძღვანელობს ასევე მის მიერ შემუშავებული ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტით, რომელშიც გაერთიანებულია: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები; საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის



უზრუნველყოფის მექანიზმები; ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები; სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები, რომლებიც კანონმდებლობის დაცვით არის შედგენილი.

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ სკოლას არ აქვს ეზო, სკოლის ტერიტორიის გარე პერიმეტრს აკონტროლებს გარე 4 და შიდა 5 კამერა. ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლას ჰყავს: სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი (ქართული ენისა და ლიტერატურის მაწავლებელი) და სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი (დირექტორის მოადგილე).

სკოლას შემუშავებულია აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც არ არის შეთანხმებული უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან. სკოლაში გამოკრულია სავაკუაციო გეგმები, რომლებიც საჭიროებს განახლებას. სკოლაში არ არის ევაკუაციის მართვის (გახმოვანება/მაუწყებლობა), ადამიანთა ევაკუაციის მართვის (ავარიული განათება), სახანძრო საგანგაშო (სიგნალიზაცია) სისტემები. სკოლამ წარმოადგინა კორესპონდენციები, რომლითაც მიმართა უფლებამოსილ უწყებას, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, შენობა-ნაგებობების ტექნიკურ შემოწმებასთან და შესაბამისი მიწერილობის მომზადებასთან დაკავშირებით. სკოლამ წარმოადგინა ასევე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დოკუმენტის რეგისტრაციის ბარათი, რითაც დასტურდება, რომ ბიუროში დარეგისტრირებულია განცხადება.

სკოლას დებულებით განსაზღვრული აქვს შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სპეციალისტის მოვალეობები, თუმცა სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს შესაბამისი კადრი. შესაბამისად დასკვნის პროექტის ფარგლებში, ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ განმარტა, რომ გამოცხადებული აქვს ვაკანსია ამ პოზიციაზე, ხოლო წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით, არსებული ხარვეზის გამოსწორება დაგეგმა 2025 წლის 30 აგვისტომდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;

პირველადი სამედიცინო დახმარების მისაღებად სკოლის პირველ სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა, არსებული ნორმატიული აქტით მიღებული გადაწყვეტილებები და შესაბამისი ორგანოების რეკომენდაციები კაბინეტის მოწყობასთან დაკავშირებით. სამედიცინო კაბინეტი უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, რომელიც ნიადაგზე ბუნებრივი ვენტილაციის გზით და აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით: სამედიცინო ტახტი, სასწორი, სიმაღლის საზომი, საკაცე, მაცივარი, საათი, კარადა, რომელშიც განთავსებულია ყველა ის მედიკამენტი, ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები, რომელთა გამოყენება დასაშვებია სკოლის მოსწავლეების მიმართ.

სკოლას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის ექთანი, რომელიც აწარმოებს ყოველდღიურ ჩანაწერებს. ექთანს მიეცა რჩევა იხელმძღვანელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ფორმებით (№41/ნ/01-23/ნ/2022 წლის 21 მარტი).

სკოლას გამოცხადებულია აქვს კონკურსი ექიმის ვაკანსიაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.



3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლას შემუშავებული აქვს „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“, რომელიც ეფუძნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანების - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“ მოთხოვნებს. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას სკოლა უზრუნველყოფს ასევე შინაგანაწესით განსაზღვრული წესების შესაბამისად. დოკუმენტების შესწავლით დადგინდა, რომ სკოლის დირექტორი განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას შემდგომი რეაგირებისათვის. უსაფრთხოებიდან გამომდინარე სკოლას დარეგულირებული აქვს მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების კონტროლი, რათა დროულად მოახდინოს იმ მოსწავლის იდენტიფიცირება და საფუძვლის დადგენა, რომელიც სკოლაში არ იმყოფება. აღნიშნულს ახორციელებენ კლასის დამრიგებლები და დირექტორის მოადგილე, რაც მშობლებთან გასაუბრებითაც დადასტურდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებს თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს, რასაც ხელმოწერით ადასტურებინებენ როგორც მოსწავლეებს ასევე მშობლებს. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეები მეგობრულ გარემოში სწავლობენ, რაც თავად მოსწავლეებმაც დაადასტურეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დადგინდა, რომ სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, ამ მიზნით, შპს ხერხემის დებულების 24 მუხლის თანახმად, სკოლის დამლაგებელი უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიის, შენობის, დერეფნების, საკლასო ოთახების, შენობის სველი წერტილების და სასწავლო ინვენტარის სისუფთავეს. იგი პერიოდულად ასუფთავებს სკოლის შენობას სადეზინფექციო საშუალებებით (სველ წერტილებს-ყოველდღიურად), დღის განმავლობაში ორჯერ ატარებს შენობის მონიტორინგს (მოწესრიგება და სველი წერტილების საჭიროებისამებრ აღჭურვა) და სხვა. ყოველივე ზემოაღნიშნული დადასტურდა დამლაგებელთან გასაუბრებითაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

შპს ხერხემს შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები, რომელიც დამტკიცებულია შპს "ხერხემის" დირექტორის 2024 წლის 04 სექტემბრის N 02.28 ბრძანებით. აღნიშნული რეგულაციები ეყრდნობა მოქმედ კანონმდებლობას („პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი). სკოლას დაწყებული აქვს მოლაპარაკება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან. თუმცა ამ ეტაპზე პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სკოლის საქმისმწარმოებელი. მასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა მონაცემებს ამუშავებს, აგროვებს მხოლოდ კანონიერი გზით. მონაცემები დაცულია იმგვარად, რომ არ მოხდეს

არსებული მონაცემების შემთხვევითი ან განზრახ განადგურება, მოპოვება, გამჟღავნება, დაკარგვა და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენება. სკოლა ინფორმაციას გასცემს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კონფიდენციალობის დაცვით. სკოლამ წარმოადგინა ასევე მშობლების, მასწავლებლების და პერსონალის თანხმობის ფორმები, ავტორიზაციის ფარგლებში, პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებით. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლის ფაქტობრივი მდგომარეობის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ საქმისწარმოებისა და ბუღალტრულ დოკუმენტაციაზე წვდომა აქვთ მხოლოდ ხელშეკრულებით უფლებამოსილ პირებს, საარქივო მასალები ინახება დირექტორის კაბინეტში განთავსებულ კარადაში, მოსწავლეთა ჩარიცხვა, მოსწავლის სტატუსის მინიჭება, მოძრაობის აღრიცხვა, პირველკლასელთა რეგისტრაცია ხდება კანონით განსაზღვრული წესების დაცვით. მოსწავლეთა შესახებ პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროება ხდება კანონის შესაბამისად დადგენილი ნორმების მიხედვით, მშობელთა/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საფუძველზე. ამის დასტურად სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელა და მშობელთა ხელმოწერები, რითაც ისინი თანხმობას აცხადებენ მათი და მათი შვილების ფოტო და ვიდეო მასალის სჭიროებისამებრ გასაჯაროებასთან დაკავშირებით. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

სკოლამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, თუმცა მათთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ისინი ყოველდღიურ რეჟიმში ზრუნავენ ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებაზე. შესაბამისად დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისი“. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ განმარტა, რომ მაქსიმალურად გაითვალისწინებს და განახორციელებს პერიოდულ შეფასებას დოკუმენტური ფორმით, ხოლო წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით, არსებული ხარვეზის გამოსწორება დაგეგმა 2025 წლის 5 დეკემბრამდე **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“**

დასტურდება:

- შპს ხერხემის ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი
- სკოლის სამედიცინო დახმარების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი;
- საევაკუაციო გეგმები;

- პერსონალური მონაცემების დაცვის წესი;
- სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი;
- საგანგებო სიტუაციების გეგმა;
- წერილი შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, შენობა-ნაგებობების ტექნიკურ შემოწმებასთან და შესაბამისი მიწერილობის შექმნასთან დაკავშირებით.
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დოკუმენტის რეგისტრაციის ბარათი.

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;



ამონაწერით საჯარო რეესტრიდან N 62.09.58.204, 2023 წლის 26 იანვრის იჯარის ხელშეკრულებით და ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დასტურდება, რომ სკოლა შპს „ხერხეში“ განთავსებულია ქალაქ ახალციხეში დიდმამიშვილის ქ. N3-ში მდებარე 2 სართულიან შენობაში, (I სართული -344.60 კვ.მ; II სართული -350 კვ.მ) რომლის პირველი სართული იჯარით არის აღებული და შესაბამისი ხელშეკრულება დამოწმებულია 2023 წლის 26 იანვარს, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. ხელშეკრულების ვადად განსაზღვრულია 2030 წლის 30 აგვისტო. შენობაში განთავსებულია 12 საკლასო ოთახი, ექიმის კაბინეტი, სამასწავლებლო, დირექციის 2 პატარა კაბინეტი, ბიბლიოთეკა. სკოლას არ აქვს სტანდარტების შესაბამისი სპორტული დარბაზი, თუმცა შენობაში გამოყოფილია სივრცე (70 მკვ.მ) სპორტული აქტივობებისთვის. მასში განთავსებულია სარკეები, კალათბურთის ფარი და სხვა სპორტული ინვენტარი. სკოლას არ აქვს არც ეზო და არც გარე სპორტული მოედანი. მართალია სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი ახალციხის სპორტულ სკოლასთან სარგებლობის შესახებ, მაგრამ მათ ვერ წარმოადგინეს განრიგი, რითაც დადასტურდებოდა, მოსწავლეების მიერ ამ მოედნის საჭიროებისამებრ გამოყენება.

სკოლას აქვს 2 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია (შესაბამისი აღჭურვილობით) და 1 კომპიუტერული ლაბორატორია, თუმცა სამივე მათგანში განთავსებულია ასევე კლასები. დირექციის განმარტებით ხორციელდება კლასების გაცვლა საჭიროებისამებრ, თუმცა ამ შემთხვევაშიც კლასების შეცვლის განრიგი სკოლას არ წარმოუდგენია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის ქიმიის ლაბორატორიაში დამონტაჟებულია გამწოვი კარადა და ონკანი, თუმცა ონკანი არ არის მიერთებული წყლის გამსვლელ მილთან და კარადაში განთავსებულია სათლი. შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა: შეიმუშავოს ლაბორატორიების მუშაობის და კლასების შეცვლის განრიგი, რაც ხელს შეუწყობს, გაკვეთილების უპრობლემოდ ჩატარებას და ქიმიის ლაბორატორიაში წყლის ონკანი მიუერთოს წყლის გამშვებ მილს.

ყველა საკლასო ოთახს (12) აქვს ბუნებრივი განათება და აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით არსებულ მოსწავლეთა რაოდენობის (121) და მოთხოვნილი რაოდენობის (175) გათვალისწინებით. სკოლას აქვს ასევე სხვადასხვა თვალსაჩინოებები და აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დასტურდება, რომ სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის სამუშაო დღეებისა და საათების განმავლობაში. დირექციასთან შეთანხმებით სარგებლობა შესაძლებელია არასასწავლო პერიოდშიც, დასვენებისა და მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობის და კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესები, ასევე წესი, რითაც დასტურდება, რომ სკოლის კომპიუტერებით სარგებლობა 3 საათის შემდგომაც შეუძლიათ როგორც მასწავლებლებს, ასევე მოსწავლეებს. მაგრამ შპს ხერხეში ვერ წარმოადგინა მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რასთან დაკავშირებითაც ექსპერტთა მიერ გაიცა შესაბამისი რჩევა - სკოლის მატერიალური რესურსის დასაცავად და მისი ეფექტურად გამოყენების მიზნით, შეიმუშავოს შესაბამისი წესი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;

სკოლის ბიბლიოთეკა, 2000 წიგნადი ფონდით, განთავსებულია შენობის მეორე სართულზე, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს როგორც მხატვრულ, ასევე მეთოდურ და მოსწავლის სახელმძღვანელოებს. დირექციასთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლის ბიბლიოთეკარის პოზიცია შეთავსებული აქვს სასწავლო ნაწილის გამგეს.

სკოლას შემუშავებული აქვს შპს ხერხემის ბიბლიოთეკის დებულება, რომელშიც განსაზღვრულია სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის ერთიანი წესი, ბიბლიოთეკის მიზნები და ამოცანები, ძირითადი პრინციპები და ფუნქციები, მაგრამ არ არის გამოკრული თვალსაჩინო ადგილზე ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა შესაბამისი რჩევა.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და აღწერილია საინვენტარო წიგნში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

არსებული ვითარების შესწავლით დასტურდება, რომ სკოლის მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან ერთად, თუმცა სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის. მართალია სკოლის კიბეებზე დამაგრებულია ხის პანდუსები, თუმცა დახრის კუთხის გათვალისწინებით, მათზე ეტლით გადაადგილება შეუძლებელია. პირველ სართულზე არის სველი წერტილი, რომელიც არ არის სწორად ადაპტირებული, რამდენადაც მასში ეტლის მოტრიალება ასევე შეუძლებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისი“. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით, არსებული ხარვეზის გამოსწორების ვადად სკოლამ განსაზღვრა პერიოდი 2024 წლის 5 დეკემბრიდან, 2025 წლის 15 სექტემბრამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

სკოლის ინფრასტრუქტურა მეტ-ნაკლებად საშუალებას იძლევა სოციო-კულტურული განვითარებისთვის. სკოლის შენობას აქვს დერეფნები და საკლასო ოთახები. საკლასო ოთახები აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებით, მასწავლებლის მაგიდებით და სხვა სასკოლო ინვენტარით. სკოლა უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით, ასევე დამატებითი მასალებით: რუკებით, თვალსაჩინოებებით. მასწავლებლები ახორციელებენ მოსწავლეთა სოციალურ, კულტურულ და შემეცნებით აქტივობებს. მოსწავლეებისთვის მასწავლებლების მხრიდან შექმნილია მეგობრული, თანამშრომლობითი გარემო, რაც დაასდასტურეს, როგორც მოსწავლეებმა, ასევე მათთან მშობლებმა, აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;

- ბიბლიოთეკის დებულება;
- ბიბლიოთეკის ინვენტარიზაციის წიგნი;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 62.09.58.204;
- 2023 წლის 26 იანვრის იჯარის ხელშეკრულება;
- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი;

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

სკოლის ბალანსზე არის 7 კომპიუტერი და 2 პორტაბელური კომპიუტერი. სკოლას აქვს ისტ-ის კაბინეტი, სადაც განთავსებულია 6 კომპიუტერი, აქედან 2 არ ფუნქციონირებს. 1 კომპიუტერი განთავსებულია დირექტორის კაბინეტში, რომელიც გამოიყენება ელექტრონული საქმისწარმოების დოკუმენტბრუნვისათვის. სკოლას აქვს 1 პროექტორი და 1 ასლგადამღები აპარატი სკოლის შენობა უზრუნველყოფილია უწყვეტი ინტერნეტ-კავშირით. სკოლას დადებული აქვს ხელშეკრულება სილქნეტთან. სკოლის შენობაში დამონტაჟებულია 3 Wi-Fi-ის აპარატი, რომლის საშუალებითაც სკოლის შენობა და მიმდებარე პერიმეტრი დაფარულია ინტერნეტის ქსელით. რამდენადაც სკოლა 175 მოსწავლეზეა გათვლილი არსებული კომპიუტერული რესურსი ვერ უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. შესაბამისად დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისი“. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით, არსებული ხარვეზის გამოსწორების ვადად სკოლამ განსაზღვრა პერიოდი 2024 წლის 5 დეკემბრიდან, 2025 წლის 5 დეკემბრამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“

3. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

შპს ხერხემის პედაგოგებს და მოსწავლეებს შეუძლიათ ისარგებლონ ისტ-ის ლაბორატორიაში არსებული ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით და ასლგადამდები აპარატით. საინფორმაციო დაფაზე თვალსაჩინოდაა გამოკრული Wi-Fi-ს პაროლი, რომლის სარგებლობაც შეუძლია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიაში არსებული ტექნიკით სარგებლობა, სასკოლო საზოგადოების წევრებს, შეუძლიათ სასწავლო პროცესის დასრულების შემდგომაც - 15:00 საათიდან, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. შემუშავებული და გამოკრულია ასევე ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობის და კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- კომპიუტერების მიღება ჩაბარების აქტები;
- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სკოლას შემუშავებული აქვს „საქმისწარმოების ერთიანი წესი“, რომელიც უზრუნველყოფს საქმისწარმოების სისტემის ორგანიზებას, დოკუმენტებზე მუშაობის წესის დაცვის ზედამხედველობას, დოკუმენტების დამუშავებასა და შესრულებული სამუშაოს კონტროლს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლას ჰყავს საქმისწარმოებელი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. მისი ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებითა და შპს ხერხემის დებულებით. სკოლას აქვს შემოსული და გასული წერილების, საკადრო ბრძანებების, საერთო ბრძანებების, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალები.

სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია, საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმებით ირკვევა, რომ იგი უზრუნველყოფს საქმისწარმოების სისტემის ორგანიზებას, დოკუმენტების დამუშავებასა და შესრულებული სამუშაოს კონტროლს, უზრუნველყოფს მოთხოვნის საფუძველზე შესაბამისი დოკუმენტაციის დამოწმებული ასლის გაცემას, მასწავლებელთა და თანამშრომელთა პირადი საქმეების მოწესრიგებას და აკონტროლებს მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოებას. უზრუნველყოფს ასევე სკოლის დირექტორის ბრძანებების, შრომითი ხელშეკრულებებისა და გასაგზავნი წერილების პროექტების მომზადებას და ელექტრონულ სისტემაში - eschool.emis.ge მუშაობას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა ინფორმაციის ასახვა ხდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool). აღნიშნულ სისტემაში ხორციელდება ასევე მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის შესახებ ინფორმაციის ასახვა. გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის მიღება-გავრცელებისათვის სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონული ფოსტას mzekaschool@yahoo.com და სკოლის სოციალური ქსელის გვერდს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შემოწმების შედეგად დგინდება - სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო eschool.emis.ge - ის პლატფორმაზე. მასზე სრული წვდომა აქვთ სკოლის დირექტორს და საქმისმწარმოებელს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში. დადასტურდა, რომ სკოლას ასახული აქვს ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში როგორც მოსწავლეთა, ისე თანამშრომლებთან მიმართებით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ანგარიშების წარდგენა შესაბამის სტრუქტურებთან ხდება ვადებისა და პროცედურების დაცვით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის საქმისწარმოების წესი;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- სარეგისტრაციო ჟურნალები;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

სასკოლო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით სკოლა იყენებს ოფიციალურ facebook გვერდს და ელექტრონულ ფოსტას- mzekaschool@yahoo.com. კლასის დამრიგებლებს შექმნილი აქვთ სადამრიგებლო კლასებთან ურთიერთობისთვის მესენჯერ-ჯგუფები, რომლის დახმარებითაც მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებლებს აქვთ ერთმანეთთან კომუნიკაცია და ამ გზით მიეწოდებათ საჭირო ინფორმაცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შპს ხერხემის ვებგვერდზე მისიის, ხედვისა და ღირებულებების გარდა, სხვა ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი. შესაბამისად საზოგადოების ინფორმირება ვერ ხორციელდება ოფიციალური ვებ გვერდის საშუალებით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

ვებ გვერდზე <https://xerxemi.edupage.org/contact>. განთავსებული ინფორმაციის გადამოწმებით (მისია, ხედვა, ღირებულებები, განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი ფოტომასალა) დასტურდება მათი სანდოობა. ამ მიზნით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი - საქმისმწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტეს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

სკოლა სოციალური ქსელის საშუალებით აზიარებს საკუთარი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას. შემუშავებული აქვს მშობელთა გამოკითხვის კითხვარი რომლითაც შესაძლებელია დადგინდეს: მიიღეს თუ არა მათ დროული ინფორმაცია სახელმძღვანელოების შესახებ, რა შენიშვნები აქვთ სკოლის შინაგანაწესის შესახებ, რომელიც წარმოუდგინეს მშობელთა კრებაზე, მოსწონთ თუ არა სკოლის სამუშაო სტილი, რომელ საგანში/საგნებში საჭიროებს მათი შვილი დამატებით მეცადინეობას, თანახმა არიან თუ არა გაკვეთილების შემდეგ დარჩეს მათი შვილი დამატებით მეცადინეობაზე, თანახმა არიან თუ არა უზრუნველყონ დამატებითი სახელმძღვანელოების შეძენა საჭიროების შემთხვევაში. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მშობელთა გამოკითხვას შემუშავებული კითხვარის მეშვეობით და ვერც შესაბამისი ანგარიში და/ან ანალიზი, რომელიც გამოყენებული იქნებოდა სკოლის საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლის ვებგვერდზე <https://xerxemi.edupage.org/contact> ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლის ვებგვერდის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მასზე გამოყოფილია ველები:

- ჩვენი პროფილი
- მიღწევები და ჯილდოები
- პარტნიორები
- პროექტები

ადმინისტრაცია

- სკოლის დაფა
- სკოლის წესრიგი
- ფორმები და წერილები
- სკოლის დოკუმენტაცია

- მისია, ხედვა, ღირებულებები

მიღება

- რატომ ჩვენ?
- კრიტერიუმები
- განცხადება
- ყოველდღიური ინფორმაცია
- კალენდარი
- მისია
- ჩანაცვლებები
- ცხრილი
- ნიშნები
- ელექტრონული სწავლება
- გამოცდა / საშინაო დავალება
- სკოლის ცხოვრება
- ფოტო ალბომი
- სკოლის გაზეთი
- ბიბლიოთეკა
- საგანმანათლებლო ხელმძღვანელობა
- სკოლის ფსიქოლოგი
- სიები
- ორიენტირებული ჯგუფები
- საგნები
- საკლასო ოთახები

თუმცა აღსანიშნია, რომ ყველა ველი ცარიელია, და არ შეიცავს ინფორმაციას. ვებგვერდზე ატვირთულია მხოლოდ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, ხოლო სიახლეების ველში ატვირთულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. მასზე ასევე არ არის ატვირთული შპს ხერხემის სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, მათ შორის არც ინფორმაცია დამატებით მომსახურების შესახებ. ასევე არ არის ატვირთული ანგარიში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების შესახებ და არც საკონტაქტო ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის პროექტის ფარგლებში, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისი“. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით, არსებული ხარვეზის გამოსწორების ვადად სკოლამ განსაზღვრა პერიოდი 2024 წლის 25 ოქტომბრიდან, 2025 წლის 30 მარტამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ფეისბუკ-გვერდი;
- ელექტრონულ ფოსტა;
- სკოლის ვებგვერდი.

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

დირექციასთან გასაუბრებით და სკოლის საპროგნოზო ბიუჯეტით დადგინდა, რომ სკოლის მომდევნო წლის ბიუჯეტი იგეგმება მიმდინარე წლის ბოლოს, მომხდარი ფინანსური ცვლილებების მიხედვით. სკოლის თანხების ხარჯვა ხორციელდება სამოქმედო გეგმით დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად და სასწავლო პროცესში გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად. სკოლის ბიუჯეტი მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული თანხებს, რომელშიც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ვაუჩერი, შემოსავლები მოსწავლეთა გადასახადებიდან და სხვა შემოსავლები.

ბუღალტერთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა ფინანსურ ანგარიშგებას (წლიურ ბალანსს) წარუდგენს ახალციხის რესურსცენტრს საანგარიშო წლის დასასრულს თებერვლის თვეში. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. შესყიდვების გეგმა იტვირთება შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში Eplan-მოდულში. შერჩეულ ორგანიზაციასთან იდება შესაბამისი ხელშეკრულება ორივე მხრიდან ელექტრონულად დამოწმებული ხელმოწერით. სკოლაში 2023 წლის ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა თუმცა დაგეგმილია 2024 წლის ნოემბრის დასაწყისისთვის. ასევე დადგინდა, რომ ყოველი თვის დასაწყისში სკოლის დირექცია ახორციელებს წინა თვის შემოსავლებისა და ხარჯების მონიტორინგს, რაც ხელს უწყობს ბიუჯეტის თანხების სწორ განკარგვას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- წლიური ფინანსური ანგარიში;

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიებს უზრუნველყოფს სპეციალური წესი სახელწოდებით „შპს ხერხემლის მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა უფლებების დაცვის და გარანტიების უზრუნველყოფის მექანიზმი“, რომელიც განსაზღვრავს მშობლის ინფორმირების



წესს, სკოლის შენობაში უცხო პირთა შესვლასთან დავაშირებულ რეგულაციასა და მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა საჩივრის განხილვის წესს, მაგალითად, დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ „კანონმდებლობით, დაწესებულების დებულებით და შინაგანაწესით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში მოსწავლეს, მასწავლებელს და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს წერილობითი საჩივრით მიმართოს სკოლის დირექტორს“. სკოლამ ასევე წარმოადგინა დოკუმენტი შპს ხერხემის შინაგანაწესი და შპს ხერხემის დებულება, აღნიშნული დოკუმენტები თანხვედრაშია ერთმანეთთან. სკოლის შენობის დერეფნებში გამოკრულია ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზის ტელეფონის ნომრები. **რჩევა:** სასურველია, ან „შპს ხერხემის მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა უფლებების დაცვის და გარანტიების უზრუნველყოფის მექანიზმში“, ან შპს ხერხემის შინაგანაწესში, ან შპს ხერხემის დებულებაში დაკონკრეტდეს/აილწეროს და ცალკე მუხლად გამოიყოს მოსწავლეთა უფლებები. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სკოლის მიერ წარმოდგენილი რეგულაციების გამჭვირვალობაზე მეტყველებს ის, რომ დოკუმენტების ტექსტები არის აღწერითი, რაოდენობრივი, ხდება სტრუქტურულ ერთეულთა იდენტიფიცირება და კითხვადია კონკრეტული პროცესები, სკოლის წარმომადგენლებმა მონიტორინგის პროცესში წარმოადგინეს მშობელთა კრების ოქმის ნიმუში, რომელსაც თან ერთვის სკოლის მოსწავლეთა მშობლების მიერ ხელმოწერილი რეესტრი სკოლის შინაგანაწესის გაცნობის შესახებ და სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში დამრიგებლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც იკითხება, შინაგანაწესისა და მოსწავლეთა უფლება-მოვალეობების გაცნობის საკითხი. სკოლაში მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს სკოლის შენობის პირველი სართულის დერეფნის კედელზე გამოკრული იყო შპს ხერხემის შინაგანაწესი, რომლის გაცნობაც შესაძლებელია სკოლის შენობაში შემოსული დაინტერესებული პირისთვის. სასკოლო რეგულაციების გამჭვირვალობისთვის სკოლის დირექცია გეგმავს, რომ სკოლის შინაგანაწესი და სხვა რეგულაციები განათავსოს სკოლის ვებგვერდზე. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

სკოლაში მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის პროცესში გადამოწმდა სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები, ხელშეკრულების შინაარსი განსაზღვრავს მხარეებს და მოიცავს შემდეგ თავებს: ხელშეკრულების საგანი, მხარეთა პასუხისმგებლობა, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მხარეთა რეკვიზიტები. **რჩევა:** სასურველია, სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაიწეროს ისეთი შინაარსები, როგორებიცაა: სკოლის საქმიანობა; სკოლის, მოსწავლის მშობლის/კანონიერ წარმომადგენლისა და მოსწავლის უფლებები; სასწავლო დრო, დასვენების დრო და უქმე დღეები; მოსწავლეთა ადაპტაციის პრინციპები; საგანმანათლებლო მომსახურების ღირებულება; მოსწავლის სკოლიდან გადაყვანის წესი და გაფრთხილების წესი. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს ხერხემის დებულება;
- შპს ხერხემის შინაგანაწესი;
- შპს ხერხემის მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა უფლებების დაცვის და გარანტიების უზრუნველყოფის მექანიზმი;
- სკოლასა და მშობელს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულება;
- VI კლასის მოსწავლეთა მშობლების კრების ოქმი;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი „შპს ხერხემის მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი“. აღნიშნული მექანიზმის შინაარსი ეფუძნება კანონმდებლობის მოთხოვნებს. სკოლაში მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს სკოლის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს კლასის დონის დაძლევის შესახებ ბრძანება, ასევე მოსწავლეთა სკოლაში ჩარიცხვისა და ამორიცხვის შესახებ ბრძანება. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
- სკოლის მიერ წარმოდგენილი მექანიზმის შესაბამისად სკოლა გამოსცემს ბრძანებებს მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, კლასისა და საფეხურის დაძლევის შესახებ, რომელთა ნიმუშებიც წარმოადგინეს მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის პერიოდში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

ვიზიტის პერიოდში სკოლის სერვისების შესახებ მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია იყო ასახული მშობელთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში. ვერ დგინდებოდა, თუ როგორ უზრუნველყოფს დაწესებულება მის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციის საჯაროობის ხელმისაწვდომობას. შესაბამისად დასკვნის **პროექტის ფარგლებში ინდიკატორი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისი“**. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით და თანდართული დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლამ შეიმუშავა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები, ასევე მშობელთან გასაფორმებელი ახალი ხელშეკრულების ფორმა, რომელიც გაფორმდება ყველა ახალ მოსწავლესთან ან არსებულ მოსწავლეებთან ახალი სასწავლო წლიდან. არსებული ხარვეზის გამოსწორების ვადად მითითებულია 2024 წლის 03 მარტი, რაც სავარაუდოდ ტექნიკური ხარვეზია, რადგან პროცესის დაწყების თარიღად მითითებულია 2024 წლის 05 დეკემბერი. აღწერილიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ დასრულების თარიღია 2025 წლის 03 მარტი. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისი“**.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციების მიხედვით დგინდება, რომ სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაციები არ მოდის კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში, არ არის დისკრიმინაციული და საინფორმაციო ხასიათისაა. სკოლის ვებგვერდს შპს ხერხემის დებულების თანახმად ზედამხედველობას უწევს სკოლის დირექტორის მოადგილე. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს ხერხემის დებულება.
- შპს ხერხემის მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- მოსწავლეთა მობილობის შესახებ გამოცემული ბრძანებები;
- სკოლის ვებ. გვერდი;
- სკოლის სოციალური გვერდი;

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;

სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, რომელშიც განსაზღვრულია: ზოგადი დებულებები, ადაპტაციის მნიშვნელობა და მიზნები, ადაპტაციაში ჩართული პირები, ადაპტაციის ეტაპები, სკოლასთან ადაპტაციის განმსაზღვრელი ფაქტორები, სკოლასთან ადაპტაციის შედეგები და ნიშნები, დასკვნითი დებულებები. სკოლის მიერ წარმოდგენილია სადამრიგებლო პროგრამები, რომელშიც ვკითხულობთ, რომ დამრიგებელმა უნდა უზრუნველყოს კლასში თანამშრომლობითი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემო. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

სკოლის მიერ წარმოდგენილი ადაპტაციის წესის მეორე ეტაპის მიხედვით „ახალ მოსწავლეს პირველ დღეს სკოლის შესასვლელში ხვდება კლასის დამრიგებელი, რომელიც თვითონ მიაცილებს მოსწავლეს საკლასო ოთახამდე, გააცნობს თანაკლასელებს, მოუყვება დღის გეგმის (რეჟიმის) შესახებ, დაუსვამს კითხვას დამატებითი საჭიროებების ან ინფორმაციის შესახებ და სთხოვს საგაკვეთილო პროცესში ჩართვას“. სკოლაში მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში მოსწავლეთა და მშობლებთან განხორციელებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ადაპტაციის პროცესი მოსწავლეებისთვის იყო მარტივი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად მოსწავლის კონსულტაცია და მხარდაჭერა უზრუნველყოფილია სასკოლო სასწავლო გეგმით, სადამრიგებლო პროგრამით, მასწავლებლების ფუნქციებით. მოსწავლეთა და მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ საჭიროების შემთხვევაში ადგილი აქვს აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებელ დამატებით საკონსულტაციო შეხვედრებს. **რჩევა:** სასურველია, სასკოლო სასწავლო გეგმაში ან სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობ სხვა დოკუმენტში/დოკუმენტებში დაკონკრეტდეს მოსწავლისათვის კონსულტაციისა და მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობის დრო, პერიოდი და ფორმები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

სკოლის დებულებით, შინაგანაწესით, სასკოლო-სასწავლო გეგმითა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული მოსწავლის უფლებების რეალიზების ხელშეწყობი ვადები და პირობები შეესაბამება კანონმდებლობას და არის გონივრული. სკოლის მოსწავლეები და მათი მშობლები ინტერვიუებისას აღნიშნავენ სკოლის მიერ მოსწავლეებისათვის სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაზიარებისა და საჭიროების შემთხვევაში ადმინისტრაციული მხარდაჭერის ფაქტებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არაფორმალური განათლების ელემენტების განმახორციელებლად ძირითადად გვხვდებიან კლასის დამრიგებლები და საგნობრივი მასწავლებლები, რომელთაც მინიჭებული აქვთ უმაღლესი განათლების, სულ მცირე, ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. სკოლის სასკოლო-სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია არაფორმალური განათლების ელემენტები, სკოლამ მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის პროცესში წარმოადგინა დოკუმენტი სახელწოდებით შპს ხერხემის სკოლის ექსკურსიის განხორციელების წესი (დებულება), დოკუმენტი შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: ზოგადი დებულებები, ექსკურსიის ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის მოვალეობები, ტრანსპორტირების წესი და პასუხისმგებლობა, სკოლის მოსწავლეთა და მშობლებთან ჩატარებული ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ გეგმავენ და ახორციელებენ კლასის ექსკურსიას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სკოლამ წარმოადგინა მშობლის გამოკითხვის ანკეტის ფორმა, რომელიც ზომავს, როგორც მშობლის კმაყოფილებას, ასევე ითვალისწინებს სასკოლო ცხოვრებაში მშობლის ჩართულობის წახალისებასა და ხელშეწყობას. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა უკუკავშირისა და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გაუმჯობესების აქტივობის დაგეგმვის/განხორციელების აქტივობები. შესაბამისად დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისი“. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით დგინდება, რომ სკოლა გეგმავს ინტერვენციების განხორციელებას 2024 წლის 5 დეკემბრიდან, 2025 წლის 05 დეკემბრის ვადაში. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს ხერხემის დებულება;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- შპს ხერხემის მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი;
- შპს ხერხემის სკოლის ექსკურსიის განხორციელების წესი (დებულება);
- სადამრიგებლო პროგრამები;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

4. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
5. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
6. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმის სადამრიგებლო პროგრამის შინაარსის მიხედვით დაგეგმილია პროფესიული ორიენტაციის აქტივობები. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

კარიერული დაგეგმვის ნაწილთან დაკავშირებით, წარმოდგენილი მშობელთა კრების ოქმების მიხედვით სკოლა ახდენს მშობელთა და მოსწავლეთა ინფორმირებას ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურიდან საფეხურზე გადასვლის პრინციპების, საბაზო საფეხურიდან პროფესიული, ან საშუალო საფეხურიდან პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების შესახებ. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

სკოლაში მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების დროს მშობლებმა აღნიშნეს, რომ ხშირად იკრიბებიან, საუბრობენ სკოლის წარმომადგენლებთან და არის შემთხვევები, როდესაც გარკვეულ აქტივობებსაც ახორციელებენ, მაგალითად სკოლის ერთ-ერთი მოსწავლის მშობელმა დააორგანიზა მოსწავლეთა ვიზიტი „მწვანე სახლში“, სადაც მოსწავლეები გაეცნენ სსსმ და შშმ პირთა საჭიროებებს. სკოლამ წარმოადგინა მშობლის გამოკითხვის ანკეტის ფორმა, თუმცა, ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები. შესაბამისად დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისი“. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით დგინდება, რომ სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს, გაანალიზებს მათ და შესაბამისად დაგეგმავს შემდგომ მუშაობას. შესრულების ვადად მითითებულია 2024 წლის 5 დეკემბრიდან, 2025 წლის 05 დეკემბრის პერიოდი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მშობელთა კრების ოქმები;
- მშობელთა ანკეტების ფორმები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

სკოლას წარმოდგენილი აქვს სსსმ მოსწავლეთა მომსახურების მუშაობის მექანიზმი, სასკოლო-სასწავლო გეგმაში გაწერილია ინკლუზიური განათლების პრინციპები ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დანიშნულება და კონკრეტულ შემთხვევაში მისი შემუშავების პრინციპები და ვადები. სკოლა ამ ეტაპზე არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონდე მოსწავლე. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მექანიზმიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერის პროცესში სასკოლო საზოგადოების შესაბამისი წევრების ჩართულობას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსსმ მოსწავლის მომსახურების მექანიზმი.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით აქვს გახანგრძლივებული სწავლება, რომელსაც უძღვება უმაღლესი განათლების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით გახანგრძლივებული მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით და მომსახურების მიზანს წარმოადგენს მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

სკოლის მიერ შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტების შინაარსები ვრცელდება გახანგრძლივებული სწავლების დროს. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დასაქმებულის პირადი საქმე;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის დებულება.

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- შპს ხერხემის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- მშობლის გამოკითხვის ანკეტის ფორმა;
- კლასის მშბელთა კრების ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
9. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
10. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
11. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის ექსპერტის დასკვნით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად.
2. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის ექსპერტის დასკვნით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად.
3. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის ექსპერტის დასკვნით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად.
4. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის ექსპერტის დასკვნით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად.
5. ესთეტიკური აღზრდისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფების ექსპერტების დასკვნით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- შპს ხერხემის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- მოსწავლეების შეფასების ამსახველი მასალა;

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
3. ესთეტიკური აღზრდისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფების ექსპერტების დასკვნებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად.
4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- შპს ხერხემის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- შპს ხერხემის შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია
- მშობლის გამოკითხვის ანკეტის ფორმა;
- კლასის მშობელთა კრების ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- მოსწავლეების შეფასების ამსახველი მასალა;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;
2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;
3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
4. მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.
5. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- მასწავლებელთა პირადი საქმეები;

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.



დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- შპს ხერხემის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- შპს ხერხემის შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია
- მშობლის გამოკითხვის ანკეტის ფორმა;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- შპს ხერხემის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- შპს ხერხემის შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია
- მშობლის გამოკითხვის ანკეტის ფორმა;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;

შეფასება:

☒ შესაბამეა



- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- შპს ხერხემის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე



სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- შპს ხერხემის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- მშობლის გამოკითხვის ანკეტის ფორმა;
- კლასის მშბელთა კრების ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
5. ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფის ექსპერტის დასკვნით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- შპს ხერხემის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- მოსწავლეების შეფასების ამსახველი მასალა;

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
3. ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფის ექსპერტის დასკვნით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად.
4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- შპს ხერხემის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- შპს ხერხემის შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია
- მშობლის გამოკითხვის ანკეტის ფორმა;
- კლასის მშბელთა კრების ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- მოსწავლის შეფასების ამსახველი მასალა;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;
2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;
3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.
4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:



